ფასი ყველგან 10 კ.

ჩვენი

პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო ალმანახი

თბილისი

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

1909

ერი

№ 1.

13 სექტემბერი 1909 წ.

კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო ⁂ სალიტერატურო ჟურნალი

შინაარსი: რედაქციისაგან.—ერის უფლება, Baton ისა.—სიმღერა (ლექსი), **ვაჟა-ფშაველასი.**—გაროზგვილი (ნაწილი მე-II), **ი. ელეფთერიძისა.**—სონეტი (ლექსი), **ი. გრიშაშვილისა**.—მინიატიურები, **ნ. ლორთქიფანიძისა.**—შინაური მიმოხილვა.—ქართულ სამართლის ისტორია, **ი. ჯავახიშვილისა.**

რედაქციისაგან.

საზოგადო წესია—ყოველი ახალი გამოცემა ცდილობს თავიდანვე განსაზღვროს თავის მოქმედების ფარგალი, გაითვალისწინოს ის გზა, რომელზედაც მას სურს მსვლელობა და ამით თავისი თავი მკითხველს გააცნოს. ჩვენც ვეცდებით, რამდენადაც შეგვეძლება, მკითხველს ჩვენი თავი გავაცნოთ.

როგორც ყოველ პიროვნებას აქვს ეზიანი და სუსხიანი დღე, ხან ჯანსაღად და ბედნიერად გრძნობს თავს, ხან სნეულდება და გულგატეხილობა ეუყობა, ისე ერის ცხოვრებაშიაც მოიპოვება ძლიერებისა, იმედიანობისა და აგრეთვე დასუსტებისა და დაქუცმაცების ხანა. ქართველი ერი ამ ასი წლის განმავლობაში განიცდის სწორედ ამ დაქუცმაცების ხანას და, ვინ იცის, თავს როდის დააღწევს იმ მრავალგვარ მიზეზებს, რომელნიც მის ნორმალურ ზრდას და განვითარებას ხელს უშლიან. საზოგადოდ ჩვეულებრივ ურთიერთობაში ჩვენ ვგმობთ, როცა ერთი ადამიანი მეორეს ატყუებს, როცა ერთი მეორეს სჩაგრავს და ვერაგობით სჯობნის. სულ სხვას ვხედავთ საერთაშორისო დამოკიდებულებაში. აქ მოტყუება, ძლიერის მიერ სუსტის გაქელვა, გასრესა—ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ ძლიერი ყოველთვის მართალია, მოტყუება ჭკუის ნიშნად ითვლება, აქ მხოლოდ ძალა მოქმედებს. და რამდენადაც ეს გაბატონებული ძალა უკულტურო და უხეშია, იმდენად მისი ბატონობა გამანადგურებელი, დამცემი და შემავიწროებელია · დაჩაგრულისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მთელი ჩვენი უკანასკნელი ისტორია. ერის ცხოვრების ყოველ სფერაში ისეთი სისტემა გაბატონდა, რომელიც ცდილობს ჩვენს დაცემას, განადგურებას, მოსპობას, სრულს დეზორგანიზაციას. ყოველი ხალხი თავის სიმდიდრეს ჰქმნის შეუწყვეტელ, თანდათანურ მუშაობითა და დაზოგვით. თაობა თაობაზე ღვრის ოფლს, წელებზე ფეხს იდგამს და ამნაირად ნელ-ნელა აუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას. ხოლო ასეთი თანდათანურ დაზოგვის პროცესი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი წყობილება ამ დაზოგვილს იფარავდეს, არ ანადგურებდეს, არ სპობდეს. ჩვენს სულ სხვას ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში· თავიდანვე დაწყებული ხალხის სიმდიდრე, ხალხის ნაამაგარი იფლანგება, ისპობა, ხალხი აუტანელ ბეგარას და გადასახადებს იხდის, ხოლო სამაგიეროდ მას არაფერი უბრუნდება. ესეც ცოტაა. გაიხსენეთ მე-XIX საუკ. დასაწყისში პროვიანტის საზიდავად გაწვეულ ხალხის ბედი, როცა გლეხს ათასობით ეღუპებოდა საქონელი, ხოლო იმ მცირედ სასყიდელსაც ვერ იღებდა, რომელიც მისთვის დანიშნული იყო. ახლა გადაავლეთ თვალი თანამედროვე ცხოვრებას. ვის ხელში ვართ? ვინ განაგებს ჩვენს სოფელს? როდესაც სოფელს ართმევთ უფლებას თავისი კაცი აირჩიოს, თავის საქმეების გასაძღოლად, ცხადია, თქვენ გგონიათ რომ სოფელში შესაფერ მომზადებისა და პატიოსნების მქონე ადამიანი არ მოიპოვება. მერე ვინ მოგყავთ? რა ზნეობრივ და მოქალაქობრივ ავლადიდების მქონე? ამაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ჩვენი აზრი ყველასთვის ცხადია, ცხადია, რომ ეს არის მხოლოდ დაშინების, დარბევის სისტემის განხორციელება, ხოლო ასეთი სისტემა ადამიანს ცხოვრებაზე გულს უცრუებს და როცა მას ხვალინდელი დღის იმედი არ აქვს, დღესაც ნაკლების ხალისით მუშაობს, ნაკლებს ჰქმნის მომავლისთვის აშკარაა, ეს სისტემა ჩვენი ეკონომიური დაცემის სისტემაა. რადგანაც ეს სისტემა ხალხისთვის დამღუპველია და არც რაიმე მოსაზრებით გამართლდება, ამიტომ ჩვენ ვეცდებით, რამდენადაც კი საშუალება შეგვწევს, ყოველ შემთხვევით ვისარგებლოთ, რომ გამოვააშკარაოთ მისი მავნებლობა და აუტანელობა.

ხალხი მარტო ნივთიერის სიმდიდრით არ ცხოვრობს. სულიერი კულტურა უძვირფასესი განძია ყოველი ერისთვის. ერი სულიერად დაძაბუნებული, შეციწროებული ყველაფერში სუსტია. ახლა გადახედეთ ჩვენ ცხოვრებას. მთელი ასი წელიწადი იმის ცდაში ვადის, რომ ერთი მხრით ქართველი ხალხი მოსწყდეს თავის წარსულ კულტურას, გასწყვიტოს კულტურულ თანდათანობის ძაფი თავის წარსულთან, ხოლო მეორე მხრით ამ

11 509

ცდას თან ერთვის ხალხის გადაგვარების მისწრაფება. ჩვენ არ გამოვდიეართ რომელიმე სარწმუნოებრივ მიმდინარეობის დოგმატების დაცველად. ხოლო მაინც ვფიქრობთ, რომ ადამიანთა ყოველ ჯგუფს უფლება აქვს თავისი სარწმუნოება იქონიოს, შეულახველად და შეუბილწველად. და თუ ეს უფლება საზოგადოდ ყოველივე ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნება, მით უმეტეს მიეკუთვნება ის ქართველ ერს, რომელსაც თითქმის ქრისტიანობის გაჩენიდანვე ერთ ხელში ჯვარი ეჭირა, ხოლო მეორეში ხმალი და განუწყვეტელის ბრძოლით იცავდა თავის არსებობას და მასთან თავის გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ სარწმუნოებას. დღეს კი ეს სარწმუნოებაც მის შემბორკველად და სულიერ დამცემ იარაღად შეიქმნა. აქაც გარეშე ხალხს მოესპო საშუალება თავის მამა-პაპათა ჩვეულებისამებრ ილოცოს, ჩვენი ეკლესიაც გადაგვარების იარაღად გადაიქცა, ხოლო მისი მოსამსახურენი ამ გადაგვარების გამატარებელ საშვალებათ. არა ერთი ხალხი ითვლის თავის მწერლობის ისტორიას ათ წლობით, მაგრამ მიუხედავად ამისა თავისუფლებამ, თავისუფალმა ცხოვრებამ საშვალება მისცა ამ ხალხთ აღორძინებულიყვენ და თავიანთი მოქმედება ისე გაეფურჩქნათ, რომ დაწინაურებულ ერებისაც არ რცხვენია. რას ვხედავთ ჩვენში? ასი წელიწადია ჩვენში განათლება გადაგვარებას დაუკავშირდა. ვინც სწავლობს, იმას ისეთ პირობებში აყენებენ, რომ დედის ძუძუსთან ჩანაწოვ სამშობლო ენას და მის ლიტერატურას ავიწყებენ. შედეგი ის არის, რომ აგრედ წოდებული „ინტელიგენცია“ და ხალხი გაითიშენ, ნასწავლი თავის ცოდნას ვერ აწვდის ხალხს, ცოდნას სხვა ენაზე ვიძენთ, რაც იწვევს სამშობლო ენის გაღარიბებას, მისი ზრდის შეჩერებას და მთელი ერის გონებრივ განვითარების დამახინჯებას. სკოლა გადაიქცა ეროვნულ გადაგვარების იარაღად. ამავე მდგომარეობაშია სასამართლო და სხვა საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებანი. ჩვენ ვერ შეურიგდებით ასეთ მდგომარეობას და რამდენადაც ძალა შეგვწევს, ვეცდებით დავიცვათ ჩვენი ეროვნულ არსებობის უფლებანი.

ჩვენ გვრწამს, რომ ერი წარმოადგენს ერთ ერთეულს, ერთ ენაზე და ერთნაირად მოსაუბრე ადამიანთა კრებ.; რომ ერის სხვა და სხვა წევრთ აქვთ საერთო ინტერესები, რომელთა დაცვა მათ აკავშირებს: მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ ერის შემადგენელი ნაწილები ერთგვარ, ერთფეროვან მასას არ წარმოადგენენ. ისტორიულ პროცესში ერი დანაწილებულია უფლებისა და ქონების მიხედვით წოდებებათ, კლასებათ. წოდებრივ-კლასობრივი დანაწილება თავის-თავად გულისხმობს ინტერესთა წინააღმდეგობას. ამასთან ისიც ცხადია, რომ ეროვნული განვითარება ნიშნავს მატერიალურ და გონებრივ კულტურის ზრდას. სხვა-და-სხვა წოდებას ჩვენი ეროვნული არსებობ სათვის სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში ამ ბოლო დროსაც დიდ როლს თამაშობდა თავად-აზნაურობა. თავად-აზნაურობა ყოვლის უწინარეს ნიშნავს მემამულეს. უმეტესი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა ან სახელმწიფომ დაისაკუთრა ან თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა. მემამულეობა ნიშნავს უფლებას, ხოლო ყოველი უფლება, რომელსაც თან არ ახლავს მოვალეობა, ბოროტებათ იქცევა. ჩვენი დიდი მემამულენი თავისი უფლებით უხვად სარგებლობდენ, ხოლო მათ დაავიწყდათ მოვალეობა არამც თუ თავის ერის წინაშე, არამედ თავის შვილების წინაშედაც. და აი გახშირდა ჩვენში მამულების დაგირავება. ორივე ამ მოვლენას მეტად გამანადგურებელი შედეგი მოსდევს ჩვენთვის. მამულის დავალიანება მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როდესაც დაგირავებით აღებული ფული მამულსვე უბრუნდება და ხმარდება მის დამუშავებას და საზოგადო ექსპლოატაციას. ხოლო როცა დაგირავებული ფული ქეიფში იფლანგება და ვალი კი ისევ ხალხს აწვება თავზე, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ეს მფლანგავი მემამულენი პირველი ეროვნული ექსპროპრიატორები არიან. კიდევ უფრო მავნენი არიან ხალხისთვის ის მემამულენი, რომელნიც მამულებს ჩალის ფასად უცხო ხალხს უყრიან ხელში. ტერიტორიალური საკითხი უმწვავეს საკითხად გადაიქცა ამ ბოლო დროს ჩვენი ეროვნებისათვის. დროთა განმავლობაში ხალხი გამრავლდა, მასთან შიშიანობის დროს ბევრი ეძებდა თავშესაფარს და იმალებოდა კლდეღრეებში. ორივე ეს მოვლენა მოითხოვს თავისუფალ გლეხების დასახლებას. სახელმწიფო მიწები სადაც კია თავისუფალი სხვა მიზნისთვის მზადდება. ხოლო მემამულეთა საკუთრება კი სხვა ეროვნების წარმომადგენელთ უვარდებათ ხელში. ჩვენ სუსტნი ვართ ამ მოვლენასთან საბრძოლველად, მაგრამ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მაინც გავაფრთხილოთ მფლანგავი მემამულენი და საკადრისი ადგილი უჩვენოთ მათ ჩვენს ისტორიაში. მესაკუთრე ელემენტი, რასაკვირველია, ყველა მფლანგავი და მფანტავი არ არის. ჯერ ერთი, უნდა აღვიაროთ, რომ ქართველთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ წვრილი მესაკუთრენი, მათი მატერიალური წარმატება, მათი ფეხზე დადგომა და შეკავშირება,

მათი გონებრივი ზრდა ჩვენი ეროვნული განვითარების მაჩვენებელი იქნება. ამიტომ უმთავრესი ჩვენი ყურადღება უნებლიეთ მათზე იქნება მიქცეული. სადაც კი მშრომელსა და მესაკუთრეს შორის კონფლიქტი ჩამოვარდება, ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მშრომელის მხარე დავიჭიროთ. მაგრამ ერთი პირობით. ქვეყანა, სადაც წარმოება არ არის, დაღუპულია. ხოლო წარმოებას თავისი კანონები აქვს. და თუ მუშა თავის ბრძოლაში ისე შორს წავა, რომ თვით წარმოებას ძირს გაუთხრის და მას შეუძლებლად გახდის, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ შევაჩეროთ ის, რადგან მისი მოქმედება მასაც ღუპავს და ქვეყანასაც ავნებს. საკმარისია გავიხსენოთ ბათომის ქარხნების დაკეტვა. ვფიქრობთ, ყველა დამეთანხმება, რომ ამ ქარხნების დაკეტვამ ეკონომიურად მთელი ჩვენი მხარე უკან დასწია. ყოველი ამგვარი მოქმედება აუცილებლივ მავნე და დასაგმობია. მსხვერპლი კარგი რამეა, მაგრამ არა ისეთი, რომელიც გავერანებას და დაქვეითებას გვიქადის. ჯერ ჩვენ განვითარების ისეთ საფეხურზე ვართ, როცა წარმოება თავის გასავითარებლად განსაკუთრებულ ზრუნვას და მოვლას მოითხოვს. მრეწველობას ქმნის არა მარტო მრეწველი. მისი პირდაპირი მომქმედი არის მუშა. და თუ მუშა მხოლოდ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იმუშაოს, განსაზღვრულ დროსაც რაც შეიძლება ცოტა გააკეთოს, თუ ის ნამუშევარის ღირსებასაც ყურადღებას არ აქცევს, ცოტაოდენი სიმპატიით მაინც არ ეპყრობა თავის ხელობას, მაშინ ცხადია, მრეწველობა წინ ვერ წავა, თუნდაც გენიოსიც ხელმძღვანელობდეს მას. ამიტომაც მრეწველობა ფეხს ვერ მოიკიდებს, ხოლო უმრეწველობა ნიშნავს გავერანებას და მასთან ერთად უფრო კულტურულ ქვეყნების მონობას. არაა საკმარისი, რომ ჩვენ მოწინავე ქვეყნების მოწინავე აზრები ვისესხოთ, თუ ამ აზრებთან ერთად ამ აზრების წარმომშობ მატერიალურ პირობებსაც არ შევქმნით. მაშინ აზრი მხოლოდ ბოროტებათ იქცევა, როგორც ეს ჩვენში ხშირად იყო, როდესაც დღევანდელი ქურდი და ავაზაკი, ხვალ თავის ანგარებისათვის სოციალიზმის ბაირაღს აფრიალებდა.

ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენში ჯერაც არ დასრულებულა ის პროცესი გაერთიანებისა, რომელიც ქმნის ერთს განუყოფელს—ეროვნულ ერთეულს. უკულმართს დროს ჩვენი ისტორიისა საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ჩვენი კულტურის საუკეთესო ბუდე იყო, ჩამოგვშორდა, რადგან მან მიიღო მუსულმანობა. დღევანდელ კულტურულ კაცობრიობაში სარწმუნოებრივი ფანატიზმი, სარწმუნოებრივი დაუნდობლობა თანდათან ნიადაგს კარგავს და ერთი ეროვნების წარმომადგენელნი, თუნდა სხვა და სხვა სარწმუნოების მაღიარებელნიც, მტრულად აღარ უყურებენ ერთმანეთს. მართალია, ჯერ ჩვენ არ მიგვიხწევია განვითარების ამ საფეხურამდე, მაგრამ მაინც ჩვენში იმდენი ფსიხიური ერთობაა, ერთობა, რომელიც გამოიხატება საერთო სიმღერებში, საერთო სახალხო სიტყვიერებაში, საერთო ჩვეულებებში და ხასიათში, რომ კვლავ ძმური ძაფის გაბმა, კვლავ საერთო ეროვნულ საქმეში ჩაბმა არც ისე ძნელია, როგორც ბევრს ეჩვენება. მხოლოდ ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება ერთმანეთისადმი ორივე მხრით. ხოლო ეს დაახლოვება უნდა სწარმოებდეს არა მარტო ერთს სფერაში. საჭიროა ყოველმხრივი ურთიერთობა, როგორც მატერიალურს, ისე გონებრივს ნიადაგზე. მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება, რომ ჩვენ თავთავიანთ სარწმუნოებას დავიცვავთ და ეროვნულ ერთიანობასაც შევქმნით. მაშინ, შეიძლება ის გადასახლების პროცესიც შეჩერდეს, რომელმაც გასულ საუკუნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რუსმა საქართველოს ტერიტორიაზე ფეხი შემოდგა, ნახევარ საქართველოს დაცალიერება გამოიწვია. ხოლო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი არსებობისათვის არც ერთ დარბევას, არც ერთს მტრის შემოსევას ისეთი გამანადგურებელი და დამასუსტებელი შედეგი არ ქონებია, როგორც ამ სამშობლოდან აურაცხელ ხალხის აბარგვას. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენ მოძმეებს და ვთხოვთ ჩვენთან ერთად გასწიონ ის გაჭირვების ჭაპანი, რომელიც ჩვენთვისაც არა ნაკლებ სამძიმოა.

თავში ჩვენ ვთქვით, რომ დღეს ჩვენ ერში გამეფებულია სრული დეზორგანიზაცია, რომელსაც აქტიურად აწარმოებენ. დღეს ჩვენი ერი მოგვაგონებს იმ დაობლებულ ოჯახს, სადაც კერა სანახევროდ ჩამქრალია და ობლად დარჩენილნი უსუსურნი ძმები უფრო ერთმანეთის წვრილმან კინკლაობაში ატარებენ დროს, ვიდრე თავის შერყეულ ოჯახის აღდგენის და აღორძინების ცდაში. ძნელია ეროვნული ცხოვრების გაჩაღება, ერის ყველა შემომქმედ ძალების ამოქმედება, როცა ერს არ აქვს თავისი შემაკავშირებელი ორგანიზაცია. მაგრამ სიძნელე კიდევ არ ნიშნავს სასოწარკვეთილებას. ამ სიძნელეში უფრო გვმართებს სიმხნევე და შეუჩერებელი მუშაობა ჩვენ აღორძინების უკეთეს მომავალის მოლოდინში. ხოლო ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ყოველ სფერაში: ეკონომიური გაძლიერება, საწარმოვო ძალების მეტი ნაყოფით და დაზოგვით გამოყენება, შრომის განაყოფიერება,

ნაწარმოებთათვის შესაფერი ბაზრის მოპოება, გონებრივი და ესტეტიური განვითარება, ლიტერატურის და ხელოვნების გაძლიერება, შინაგანი ზრდა, გარეშე გამანადგურებელ ძალებისაგან თავის დაცვა და ეროვნულ თავმოყვარეობის ამაღლება— აი რაა ჩვენი მისწრაფება. ამ მისწრაფებაში ჩვენ ვეცდებით რამდენადაც შევძლებთ პოზიტიურად, უფრო პრაქტიკულად, რეალური პირობების მიხედვით ვიმუშაოთ და ამით შეძლების და გვარად ჩვენ მოქალაქობრივ მოვალეობას ვემსახუროთ.

ერის უფლება.

> J give to universal history a strange but true title—The Martyrdom of Man.
>
> Winwood Reade.

I.

„მე მსოფლიო ისტორიას უცნაური, მაგრამ ნამდვილი სახელი ვუწოდე—ადამიანის, მოწამეობა“, ამბობს ინგლისელი მწერალი ვიინგულ რიდი თავის მშვენიერ წიგნში, რომელსაც ეწოდება „ადამიანის მოწამეობა“.

და ჭეშმარიტად, აბა გადავიგლეთ თვალი ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების ისტორიის ფურცლებს, თუ მაშინვე არ დაინახოთ, რომ არასოდეს არც ერთი მცირე ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ ადამიანთა სიცოცხლისა, რომ სიმინელ ტანჯვა-წამებად, აუარებელ ტოტხად ენერგიად არ დაჯდომოდა მას უმცირესი პროგრესიც.

როგორიც არ უნდა იყოს აბსტრაქტული კანონები სიცოცხლისა, მისი ნამდვილი, კონკრეტული ისტორია სიმინელ თვალებს გვაშლის თვალწინ ადამიანის ტანჯვისა და წამებისას, ხშირად ისეთ მცირე რამის მოსაბოლად, რომ რაც ამ უკვე მოხდებულსა და განხორციელებულს გავსინჯავთ და განვიხილავთ ხოლმე, გვიკვირს, ვამბობთ,—თუ ადამიანი მართლა კონიერი არსია მსოფლიოში, ან რა დიდი კონები უნდოდა ამ მცირე რამის განხორციელებას, ან ესოდენი ტანჯვა რა სიჭირო იყო, რას იწვალებდა თავს ასე სასტიკად, რომ ეს სრულიად ბუნებრივი რამ ექცია ცხოვრების სინამდვილედ და აუცილებელ სიჭიროებადაც კი.

აიღეთ, მაგალითად, ტეხნიკური გაუმჯობესება წარმოების წესისა. განიხილეთ გამოგონებანი ისტორია და ნახავთ,—ჯერ ერთი რამდენი ტანჯვა დასჭირებია გამომგონებელს, რომ თავისი კონებრივი ძალითა ახალი სიმუალება შეექმნა უნაგ ნიგთიერების სასარგებლოდ გამოეყენებისათვის, მერე რამდენი შრომა, ბრძოლა და სულის კვეთება შეუღებია სიზოგადოების კონების სიბნელის გასანათებლად, რომ დაერწმუნებინა ხალხი გამოგონების სარგებლობაში და შესაძლებლობაშიც კი. აიღეთ რომელიმე მეცნიერული გამოკვლევა, თეორია, ბრინციპი,—რამდენი კონებრივი ენერგია დასჭირვებია აგრეთვე ადამიანს მის შესაქმნელად და მთელს სიზოგადოებას, თვით მეცნიერებისაც კი.—რამდენი ბრძოლა მის მისაღებად.

აიღეთ სარწმუნოების სისტემა. რამდენი სულიერი რეკვა და ღელვა გამოუცდიათ დიდ წინასწარმეტყველთა, რამდენი დევნა განუცდიათ, შემდეგ კი როგორ გამოუყენებია სალხს, როგორის დამხინჯებულის სასით ეს სულისა და გულის ნადები, კონებისა და გრძნობის შემოსაქმედი გენიოს წინასწარმეტყველისა.

აიღეთ ეოველი სოციალური მოვლენა ადამიანთა სიერთო ცხოვრებისა, განიხილეთ ეოველი მისი ნამოქმედარი ამ მოვლენის სფერაში, და აგრეთვე დაინახავთ, რომ აუარებელი ენერგია, სისხლი, კონება და გრძნობა იხარჯებოდა უმცირეს პროგრესისათვისაც კი.

აიღეთ თვით წესი ადამიანის სიერთო ცხოვრებისა, რომლითაც არასოდეს არ არის კმაყოფილი ადამიანი. სიზოგადოების გაჩენიდან დღევანდლამდე ადამიანი იბრძვის ამ სიერთო წესის მუდმივ გარდაქმნისათვის, გაუმჯობესებისათვის, მაგრამ უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდება, და ვინ იცის, მიაღწევს თუ არა ადამიანი ისეთს სოციალურ წყობილებას, რომელიც ოდნავ მაინც უახლოვდებოდეს იდეალსა და ადამიანს მოსვენებას მიანიჭებდეს. ეს წესი სიერთო ცხოვრებისა კი ადამიანის ნებისაგან არის დამოკიდებული უბირველეს ეოვლისა, იგი მისი შემოქმედების ნაყოფია, და მაშასადამე, როგორი სუსტი, უსრული და ხშირად მახინჯი შემოქმედებაც გამოუჩენია ადამიანს, თუ თავისივე ნამოქმედარი არა თუ არასოდეს არ აკმაყოფილებს, არამედ ხშირად კიდეც ჭკვავს ხოლმე მთელ სიზოგადოებასა!

ხშირად ამბობენ ხოლმე,—ადამიანს დგთის ტეტხლი უდგიგის სულსა და გულშია, მაგრამ არ ვიცი—რომელი ღმერთისა!.. სკვირველია, როგორ შექმნილა ეოვლად შემძლე და ეოვლად მეცნიერი ღმერთი თავის სახედ და ხატად ისეთ **არა გონიერ** არსს, როგორიც ადამიანია, და თანაც შემოქმედების დაგვირგვინებად მიაჩნეოდა მის გაჩენასა.

თვით დღესაც, ეოვლად განვითარებულ სიზოგადოებათა ცხოვრებაშიც ფაქტი არ არის, რომ დიდმა უმრავლესობამ ადამიანთა არც კი იცის, თუ რა არის ეველა ის გამოგონებანი, ეველა ის გონებრივი შემოქმედების ნაყოფი, თვით მისივე სოციალური მექანიზმი, რომლითაც ის სარგებლობს და რომლის სფერაშიც იგი სცხოვრობს! და ეს ამდენი ტანჯვისა, ამდენი წა-

მების შემდეგ, სუკეთესოთა ნების ესეთის დაუდგრომელის შემოქმედების შემდეგ! სიკეთრეული როგორ არ არის, რომ რამდენი სუკუნეა, მაგალითად, წერა-კითხვა რომ მოიგონეს და დღეს განათლებულ საზოგადოებშიაც კი სჩვეულ ხალხის მიერ მის უტოდინარობაზე.

მეოქტიოთ აქ ეურადღება მხოლოდ ადამიანის მეორეე შექმნილ სოციალურ ურთი-ერთობის უკარგესობას; და არა სრულ სუერს ადამიანთა სოციალურ ურთი-ერთობისს, არამედ ერის მის ნაწილს, — ერთნულ ურთი-ერთობას, რომელიც დღესაც კი ბერეულ-ეოფილ მდგომარეობაშია. ეოფილ საზოგადოებს ორნაირი ცხოვრება აქვს: შინაგანი რთული და გარეგანი, რომელიც საზოგადოებათა ურთი-ერთ შორის განწეობიდებიოთ გამოიხატება. ბერეული მოვლენა დაკავშირებულია მეორესთან, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ მინც ცალკე და დამოკიდებული არსებობა აქვთ. ბერეული ინდივიდთა შორის მოწესრიგებაა, მეორე საზოგადოებათა შორის განწეობიდება, რომელსაც შეუძლია მიიდოს ეორმა საერთა შორისო, საახალწიოთა-შორისო და სხვა განწეობიდებათა, იმის და მიხედვით თუ რას წარმოადგენენ განსაზღვრულ მომენტში კონკრეტული საზოგადოებანი, — ერები, საახალწიოიან ერებსა და იმპერიების თუ სხვას.

თუ ინდივიდებისაგან შექმნილ საზოგადოებაში საარებელ ენერგიას ხარჯავენ, საშინელ ტანჯვას განიცდიან ესეეე ინდივიდები, რომ სრულიად მარტივი უფლებანი მოიბოვონ, — ისეთი მარტივი, — რომ მოგოვების შემდეგ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეეძლოთ ძველი წესით ცხოვრება, — არა ნაკლები ენერგია დაუხარჯავთ, არა ნაკლები წამება განუცდიათ მთელ საზოგადოებათა, როგორც მთელს ორგანიულს არსებათ, — სოციალურ ინდივიდებს, — რომ თავიანთი ინდივიდუალობა, არსებობის უფლებაც კი დაეცვათ.

ერის უფლება დღესაც არ არის ადიარებული ისე, როგორც არის ადიარებული უფლება „ადამიანისა და მოქალაქისა“ ევროპისა და ამერიკის დაწინაურებულ ქვეყნებში. ეს კიდევ რა, თვით ერის არსებობის უფლებაც კი არ არის ნამდვილად ადიარებული, მიუხედავად დღევანდელ საერთაშორისო საამრთალისა, მაშინ როდესაც არსად, თვით დესპოტიურ ახალწიოთებშიაც არ არის უარ-ეოფილი ინდივიდის არსებობის უფლება. აქედან სჩანს, თუ როგორ დაბალ სდგას საერთა-შორისო საამრთალი საზოგადოებრივზე, საერთა-შორისო საზოგადოება უბრალო ეროვნულ საზოგადოებაზე. მაშინ როდესაც დღეს უბრალო ეროვნულ საზოგადოებაში არსებობს საამრთალი, დამტკიცული ინდივიდისა, რაც თუ გინდ ცუდად ასრულებდეს საამრთალი ამ ედუმენტარულ — საწყისო ფუნქციას, საზოგადოებათა საზოგადოებაში, რომლის მომწესრიგებელიც არის საერთა-შორისო საამრთალი, დღეს ტრინტიშად არ არის ადიარებული საზოგადოებათა დაცვა, ერის დაცვა. ბირიქეთ მისი უფლება ფეხქვეშ ითელება ეოველ ფეხის გადადგმაზე.

მაშინ როდესაც უბრალო საამრთალი, თეორიულად მაინც, საესტს იცავს ძალიერისაგან, საერთაშორისო საამრთალი იცავს ძალიერს და მას აყალაშვინებს საესტთა-ამას გარდა თანამედროვე საერთა-შორისო საამრთალი ადიარებს მხოლოდ ახალწმეთოთა ეოფლებას, და არა ერის ეოფლებას, რომელიც დათრგუნვიდია სწორედ ამ ახალწმეთოთა მიერ. არ არის **საერთა-შორისო** საამრთალი, არამედ ახალწმეთოთა-შორისო საამრთალი.

ეს უკანასკნელი ერებს არ იცავს თავის მფარველობის ქვეშ. თვით ფაქტი ერის არსებობისა ერს არა ხდის თანამედროვე საერთაშორისო საამრთალისთვის ეოფლება-მისად სოციალურ ინდივიდად, როგორც უბრალო საამრთალი უბრალო ინდივიდსა, არამედ ძალა, ომი, განთავისუფლება და დამარცხება ეოფილ ბატრონისა. მხოლოდ ასეთის ძალის გამოჩენის შემდეგ იცავს საერთა-შორისო საამრთალი ერს თავის საფერაში, — მხოლოდ მაშინ, როცა იგი გახდება ახალწმეთოდ.

ეს კიდევ რა, — თვით ინტერნაციონალიზმიც ისე აქვთ შეგნებული საუკეთესო მოაზრეებსა და მოწინავე სოციალისტ-ინტერნაციონალისტებსაც, რომ ეოფლად შეუძლებელია ერის დაცვა მათის ბრინციბებითა.

ისინი განიხილავენ ერს არა როგორც სოციალურ ორგანიზმსა, არამედ მხოლოდ როგორც კლასთაგან შემდგარ ქსოვილსა და ხედავენ მეტს კავშირს სხვა და სხვა ქვეყნის ბრალეტართა შორის, ვიდრე ერთი ერის ეველა წევრთა-შორის. ისინი ამით უარ-ეოფენ ერს, როგორც ერთ სპეციალურ სინამდვილეს, და ამიტომაც მათ ჭკონიათ შესაძლებელი ან ერთი საკუთრივ სოციალური, ან და კავშირი თანამედროვე დიდ ახალწმეთოთა-შორის, რომელნიც შინაგან-სოციალურად გარდაქმნებიან. თუ ამ გარდაქმნამდის ამ არსებულ ახალწმეთოებში მომწეგდეულ ერთა არსებობის დაცვა საერთა-შორისო საამრთალის უმირველესი საკითხია, — ეს მათ ან არა სწამთ, ან ძალიერ ტოტა ეურადღებას აქცევენ.

მაგრამ რადაც ადგნდა ახალოვნების ბორიზონტზედ. დაარსდა ამის წინად ბერიზში საზოგადოება ევროპელ ერთა უფლების დაცვისა, მაგალითად ამისა, როგორც არსებობდა საზოგადოება „ადამიანისა და მოქალაქის უფლების დაცვისა“. ამ საზოგადოების მოქმედებას შეიძლება ბრაქტიკული შედეგები ჯერ არ მოჰყოლოდეს, შეიძლება ეველა ერს დასწიერდეს ძალის გამოჩენა, საგუარ ახალწმეთოს შექმნა, ანამ საერთაშორისო საამრთალი მას თავის საფერაში მიიღეშდეს, მაგრამ თვით ფაქტი ამ საზოგადოების დაარსებისა მაინც საგულისხმიერია, რადგან ბრინციპი იქნა წამოყენებული, ბრინციპი ერის არსებობის უფლებისა და ამ უფლების დაცვისა. ამიერი-

დან ერის ინდივიდუალობა ისეთივე პატივ-სცემი უნდა იყოს, როგორც კერძო პიროვნისა. ამიერიდან ეროვნული ვაჭრობა ერის თავისუფლების აღიარების შესახებ ისეთივე სამარცხვინო უნდა იქმნას ეველასათვის უმაღლესი მთავრობის თვალთახედვით, როგორც ვაჭრობა ინდივიდის თავისუფლების აღიარების შესახებ.

და რამდენი ტანჯვა განიცადეს ერებმა, რამდენი ბრძოლა, რამდენი დამცირება და დევნა, სანამ ამ უბრალო ბრინციპს აღიარებდნენ—ბრინციპს, რომელიც ისეთივე მარტივია და აუცილებელი უმაღლესი ზნეობის მხრით, როგორც ბრინციპი ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა. განსაკუთრებით მთელი მეცხრამეტე საუკუნე იყო მოწამე ერთა საშინელისა და თავგანწირულის ბრძოლისა. მთელი ეზროვნება ეერაბისა თავის ერთ საგნად იხდიდა ეროვნულ საკითხს მეცხრამეტე საუკუნეში, და ესლა ძლივს გვედრება პირდაპირ გაეგებოთ გულწრფელი ხმა ერის უფლების აღიარებისა. და მართალია, მეცხრამეტე საუკუნის ისტორია განა მარტო დიდ საჯელმწიფოთა შორის ბრძოლის ისტორია იყო, ან მარტო სოციალურ ბრძოლისა საზოგადოებრივ კლასთა შორის, საზოგადოებათა შიგნით,—მეცხრამეტე საუკუნე შერეული იყო ეროვნული ბრძოლითაც. ეს ერთი დიდი მხარე იყო ამ საკვირველი საუკუნისა, როდესაც ევროპელმა მართალი უდიდესი და ყოველ მხრივი გენიოსობა გამოიჩინა.

როგორც ეველა ამბობს, შინაგან საზოგადოებრივ გარდაქმნის მხრით ორი უდიდესი რეფორმა განმტკიცეს საუკუნოდ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცეს დასაწყისმა. ერთი იყო ბატონ-ყმობის მოსპობა და მეორე პარლამენტარიზმის, საჯაჯო წარმომადგენლობის დამკვიდრება. მართალია ევროპის მთელი ისტორიის განმავლობაში, მსგავსად ეველა ისტორიულ ეპოქისა, იყო საშინელი და თავგანწირული ბრძოლა ამ წმინდა სოციალურ ნიადაგზედ, ხანდახან უფრო მეტსაც თხოულობდნენ და სტდებობდნენ განეხორციელებინათ, მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნეში იყო საგანგებო მოხოვებული ეს ორი აუცილებელი რეფორმა, სოციალურ სრულ სამართლიანობის განხორციელებისა გი ვინ იცის რადის ელოდნენ ევროპიელებსა და მით უმეტეს ?ოველს კეთილრეობას. რომ არ ჩავსთვალოთ ის საშინელი ბრძოლა, რომელიც საშუალო საუკუნეთა ქალაქებმა გასწიეს თავისუფლების მოპოვებისათვის, ძველ ბერძენთა „ბოდისის“ მსგავს საზოგადოების შესაქმნელად, გალეხთა მოძრაობათა მაგალითებით საკმაო ისტორია. ამ მოძრაობათ ნამდვილ საკუთარ რეფორმიანობა ხასიათი ექმნათ. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოში ბოჰემია ადგა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. 1567—1580 წლ. ნიდერლანდიაში იყო საშინელი. რეფორმიანობა როგორც ერეკან თავისუფლებისათვის, ისე შინაგან რეფორმათათვის, ისე ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და კომუნიზმისათვის. ინგლისტები იეკენ მაქსიმალებელი ამ მოძღვრებისა. 1638—1688 წლ. ინგლისია შერეული ამ მოძრაობით, იქაც საბოლოოდ ისპობა ბატონ-ყმობა და შეიქმნება წარმომადგენლობითი წყობილება. ბოლოს საფრანგეთში იწყება დიდი რეფორმიანობა 1889—93 წ., ისპობა ბატონ ყმობა, ისპობა თვითმმართველობა შეფისა და ბიუროკრატიისა. ამ მოძრაობამ, როგორც ეველაზედ უფრო ძლიერსა, მეცხრამეტე საუკუნეს გადმოსცა მთელი თავისი ტრადიციები და მთელი ანის წლის განმავლობაში სტდებობდა ეველა მაუშორებანი თავიდან ეს ორი უუმდაბლესი მოსობა,—ბატონ-ყმობა და თვითმმართველობა.

ნაპოლეონის ჯარი თუმცა ქუსლით სთელავდა მთელი ევროპის მიწა-წყალსა, ბევრ ერს უორგუნავდა თავისუფლებასა, მაგრამ ეს ჯარი მაინც რეფორმიანობის ტეტხლიდან იყო გამოსული და იდეა თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორობისა მთელს ქვეყანას მოგვინა. ისპანიაში და იტალიაში მოისპო ბატონ-ყმობა ერთის მხრით სწორედ საფრანგეთთან დაახლოებით და მის აზრთა ღელვის გავლენითა. გერმანიაში ბატონ-ყმობა შეიერა 1811 წელსა და სრულიად მოისპო 1848 რეფორმიანობის წყალობითა. რუსეთმაც კი განთავისუფლა ემები 1861—1863 წლ., რადგანაც ძალებული იყო, ვინაიდან გლეხთა მეამბოხეა ჯანეეა შეიძლება დიდ რეფორმიანობად ქცეულიყო. 1878 წელს ბალკანეთშიაც კი მოისპო ბატონ-ყმობა ომის შემდეგ.

აგრეთვე ეველა ასახელმწიფოებში ვხედავთ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარმომადგენლობით მთავრობასა. ინგლისის რეფორმიანობამ იგი საუკუნოდ დაამკვიდრა, საფრანგეთის რეფორმიანობამ შექმნა საუკუნო ტრადიცია რესპუბლიკისა. მათ აძლევენ ეველანი თავიანთ მოძრაობაში და შემოქმედებით მუშაობაშიაც.

მეოცე საუკუნეში რუსეთმა მოიპოვა რადაც მსგავსი კონსტიტუციისა, როდესაც რეფორმიანობამ შეშინებულმა მთავრობამ გამოსცა აქტი 17 ოქტომბრისა 1905 წლისა. ახლადეთმა დაიწყო რეფორმიანობა 1908 წელსა და 1909 წელს ბრწყინვალედ დაამარცხა რეაქცია და დაამკვიდრა კონსტიტუცია.

ასეთივე მოძრაობა იწყება აზიის საჯელმწიფოთა შორის. იაპონიამ ამ ოცდათის წლის წინად მისცა ეველას მაგალითი, ჩინეთმა კი, ამ დესპოტიის საამაგალითო მხარეს,—მანაც სძლია რეაქციას და დაამკვიდრა კონსტიტუცია ამ დღეებში, ჩვენ თვალის წინ. ადგეძებს და ახდება ჩინეთის უზარ-მაზარი ამბერიაც.

ეს იყო საზოგადო და უმთავრესი შედეგი მთელ საუკუნეთა, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის სოციალური ბრძოლის, თუ არ მიეცემა მხედველობაში თანსეგარ წვრილს სოციალურსა და ბოლიტიკურ რე-

ფორმებს, რომელიც განხორციელდეს ევროპის სახელმწიფოებმა. მაგრამ შესაძლო მხარე კი სეროო დიადი ბრძოლისა არის ერთა განგანი ბრძოლა, როგორც არა ვსთქვით, და ეს უკანასკნელი მოგდენა შეიძლება კიდევ უფრო სასურველდებოდ იყოს, ვიდრე ბირველნი, მით უმეტეს, რომ უეჭველ ფაქტად შეგვიძლია ადვილად, რომ ერს არავითარი სერიოზული შინაგანი სოციალური ბროგრესის განხორციელება არ შეუძლია, თუ განგანულად არ არის განთავისუფლებული.

ერი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს,—ბუნებრივი, ცოცხალი სულიერი ორგანიზმია, და თუ ეს ორგანიზმი სხვა ორგანიზმისგან არის დამორნებული შებოჭვილი, მას ინიციატივისა და შემოქმედების გამოჩენა არ შეუძლია. თავისუფალი ერი კი ეთვალთვის უფრო შემოქმედია, ისე როგორც მონაზად მეტად თავისუფალი ბიროვნება იჩენს ინიციატივასა და შემოქმედებას.

მაგრამ როგორც ბიროვნებასა აქვს გრძნობა და ინსტინქტი, სურვილი და შეუჩერებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელს ერს აქვს ესევე ინსტინქტი და სურვილი, და ამით ახსნება, რომ მიუხედავად მობირდაბირე კლასთა ნივთიერ ინტერესთა წინააღმდეგობისა, მთელი ერი, განურჩევლად წოდებისა და კლასისა, იბრძვის გარეგან თავისუფლების მოსაბოებლად, რომ უფრო მტკიცედ დასდგეს ბროგრესის გზაზედ. მეცხრამეტე საუკუნეშიაც ამიტომ ერთგული საკითხი ბირველ ადგს იჭერს ხალხთა ცხოვრებაში, ამიტომაც არის შერეული მთელი ევროპა ერთა მოძრაობითა, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა და ვინ იცის როდის დამთავრდება. ევროპა კიდევ რა,—იდვიძებენ როგორც ბატარა, ისე მრავალ მილიონიანი ხალხის ერები.

Bâton.

(შემდეგი იქნება)

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

(ეუძღვნი ძმა-მეგობარს).

მოგენდო, ისიც მაშინებს,—
და არ მოგენდო, ისიცა.
რადა ვქნა, რით მოგიარო,
შენ, გამტეხელო ფიცისა?!
უერომანერთოდ არ ვვარგვართ,
ეს ქვამ და ხემაც იცისა.
ეფთხილობ, ათასჯერ ნაწენეი
შენის ხრიკის და ქლინძისა.
ოქმულია: არ შეგრჩენია
ცის ვადი დედა-მიწისა...
არც შენ შეგრჩება: გავიგე,
როგორი ძმაცა შეოლიხარ!
ნარსა ჭგლეჯ ჩემის ხელითა,
შენ კი გვერდზედ წოდილხარ-..
ვსბობ შენთან ძმობის კვეშირსა,
ვეთაბ სულ არა მეოდიხარ! .
ტანით ბერანგი გამხადე
და ფეხებიდან ქალმები.
მე თუ გულს მიდბობ „ძმობითა“,
ღმერთს სათ დაემალები?!.
ვინც ჩვენგანი ორ-ბირობს,
ჭრილხავდეს ცათა ძალები.
ვაჭ, რომ არ მოვდენ მოწმად
მამა-ბაბათა ძვალები,
თორემ იტეოდენ, შენს ხელში
რამდენად ვარ შესაბრალები.
ვინ მისცა თათრებს ფეშქაშად
ჩემი დროშა და ალმები?!,
დამბრუნებს-და დანაკარგს
შენი დაქუცი-სალმები!

ვაჟა-ფშაველა.

ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲘᲚᲘ

(ნაწილი II).

ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ.

(ნაწყვეტი დაუსრულებელ მოთხრობისა „ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲘᲚᲘ“)

ზაფხული შეიბერტყა, შეიშმუშვნა და წასასვლელად განემზადა. გამეფდა ქვეყნად შემოდგომა და ყველაფერს, —უსულოს თუ სულიერსა, თავისებური ფერი დაატყო. ფოთოლს აქა-იქ სიყვითლე შეეპარა და ხის ტოტზედ მოდუნებული ეკიდა. მზეს სხივები დაუჩლუნგდა და წინანდელებრ გაბედვით როდილა იკბინებოდა.

ყურადღება რომ მიგექცია, ქვეყანას რაღაც მაძღრობას შეატყობდით. ჰაერში იმ სინოყიერის სუნი იდგა, რომელსაც მბოლოდ უხვ სუფრაზედ გრძნობ. მთელი ქვეყანა ჰამისაგან გასიკნულ ადამიანს ჰგავდა, თითქოს, რაც რამ ჰქონია, ყველაფერი ერთად ჩაუყრია მუცელში და გაბერილაო.

ამ წელს რთველები ააჩქარეს, ყურძენი ენკენისთვის დამდეგში უკვე მოწეული იყო. გლეხობა ჩვეულებრივზედ ადრე შეუდგა ყურძნის კრეფას.

ყველგან სოფლად ერთი ერიამული იდგა,—ერიამული სიხარულისა, რადგანაც ამ ხანად კახეთში მოსავალს კარგი პირი უჩანდა. საცა გაიხედავდით, აქ თუ იქ მარნებში, სიმღერას გუგუნი გაჰქონდა. ჰაერი მთლად გაჟღენთილი იყო დამაკრებულ

ყურძნის სუნით. მთვრალი იყო ადამიანი, მთვრალი იყო თვით უტყვი ბუნებაც. გარედ გოდრებით დატვირთულ ურმებს გზას ვერ აუქცევდი. ვისაც ადგილობრივ ვენახში მარანი არ მოეპოვებოდა,— ყურძენი დასაწურად სხვაგან გადაჰქონდა.

გლეხკაცის სახეს რამდენიმე კვირის განმავლობაში ღიმილი არ შორდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კარზედ მოვალე მოადგებოდა ხოლმე.

ძიბძიბაძიანთ ოჯახშიაც ამ საშემოდგომო საქმიანობას შეედგა ფეხი.

იმათი მარანი ეზოშივე იდგა, რადგანაც ვენახი კარზედ ეკრათ. მარანი დიდ ჩარდახ ქვეშ იყო გამართული. უკანა კედელი მარანს ქვითკირისა ჰქონდა, გვერდები-კი ფიცრულისა. წინიდან მარანს, მთელ სიგრძეზედ, კედლის მაგიერ, მარტო ბოძები ეყენა; ჩარდახი ამ ბოძებზე იყო გამაგრებული. მარანში შვიდიოდე ქვევრი იქნებოდა ჩაყრილი დიდიან პატარაიანად. უკანა კედელთან ხის ნავი იდგა.

ამ ჟამად ნავში ყურძენი ბლომად იყო. შიგ სამი დაკარწახებული ბიჭი ფეხით ამ ყურძენს სჭყლეტდა.

ონოფრე მარანში ტრიალებდა. წამ და უწუმ იგი მივიდოდა ხოლმე ერთ-ერთ პირ ახდილ ქვევრთან და შიგ იხედებოდა. ამ ქვევრსა და ნავ შუა ღარი იყო გადებული. ნავიდან გამონადენი ყურძნის ნაწური ამ ღარით ქვევრში ჩადიოდა. იქვე, ახლო მეორე პირ ახდილი ქვევრი იყო, რომლიდამაც განუწყვეტელი შლაპა-შლუპი მოისმოდა.

— ფიდო, მამაშვილობას, პატარა ჩქარა გაანძრიე ხელი—ჩასძახა ონოფრემ ვიღაცას ქვევრში, რომლიდამაც შლაპა-შლუპი მოისმოდა,— საცაა ორცალიანი აივსება...

— აგრემც ღმერთი გააჩანაგებს ამის ჩამგდებს, რაც აქ კაცი ვერ გაინძრეს!.. ვერ მოვტრიალებულვარ ამ ვერანაში და ხელი როგორ გავანძრიო?! —იყო პასუხი ქვევრიდან. ქვევრიდან ადამიანის ამონაძახს, თითქოს განგებ გამოხეხულის ხმის ზრიალის მსგავსი ეერი სდევდა. ამ სიტყვებთან ერთად ჩვენმა ძველმა ნაცნობმა ფიდონამ ქვევრიდან თავი ამოჰყო და მერე მკერდამდე ზევით ამოძვრა. —აკი გეუბნებოდი, სარცხით გავრეცხოთ, ან საბა ჩავგზავნოთ მეთქი—უთხრა მან ონოფრეს, რა ხარბად შეისუნთქა ჰაერი.

— ახლა რაღა დროსია მაგაზედ ლაპარაკი, შვილო?! მზე კარგა წამოსულია... მანამდე დაუძახებდეთ, მანამდე გაიხდიდეს, ვინ იცის რა ხანი გაივლის.. .მიდექ-მოდექ როგორმე...

— ხიზი, ადამიანო? წასმა არ უნდა?

— აქა-იქ მიუსვ-მოუსვი... არა უშავს-რა, უხინჯო ქვევრია...

ფიდომ აღარა უთხრა-რა მამას. უცბად აილურსა, ხელები მაღლა აშალა, მხრებში დავიწროვდა და ისევ ქვევრში ჩაძვრა. ერთი წუთის შემდეგ ქვევრიდან კვლავ შლაპა-შლუპი მოისმა.

ამასობაში ნავში მდგარმა ბიჭებმა სიმღერა შემოსძახეს, გადაებნენ ერთმანეთს მკლავებით და ფეხები აჩქარეს. ყურძნის წვენმაც იმატა ღარში და ქვევრში ნაკადულივით იწყო ჩაჩხრიალება.

ეს ჩხრიალი, ქვევრის რეცხის შლაპა-შლუპი და ბიჭების სიმღერა ისე აირია ერთმანეთში, რომ თითეულმა მოძრაობა-მოქმედებამ დაჰკარგა თავკერძი გამომეტყველება და საერთო ფერხულად გადაიქცა.

ცოტა ხანს უკან ფიდო მორჩა ქვევრის რეცხვას, ამოღვარა ხაპირით ნარეცხი წყალი, მიამშრალ-მოამშრალა ქვევრი და მამას დაუძახა—სანთელი ამინთეო.

ონოფრემ აუნთო ყვითელი სანთლის ნამწვი და მიაწოდა. ფიდომ დაათვალიერა ქვევრი, გაბზარული ხომ არსად არისო, და მერე მამას ხიზი მოსთხოვა, აქა-იქ წასცხო ქვევრს, და, რა დარწმუნდა, ქვევრი საშიში აღარ არისო, ზევით ამოვიდა.

— ძალიან აგვიანებენ აი ყურძნის ზიდვას — სთქვა მან, ჩაიხედა რა ნავში.

— განა დედაკაცი საქმეზე მისაშვებია?!—სთქვა ამ სიტყვებზედ ონოფრემ უკმაყოფილოდ.— იმ დასაღუპ ბიჭს რაღა ჩემი გამჩენი გაუწყრა?!.

— აბა, იმდენი გოგოები შაგიყრიათ და საბას აქ რაღა მოიყვანს?!—სთქვა ღრეჭით ერთმა ნავში მდგარმა ბიჭთაგანმა—გონი სულ იმათ ემსუნაგება...

ონოფრემ არა უპასუხა რა ამის მთქმელს, მაგრამ სახეზედ, ცოტა არ იყოს, უსიამოვნობის იერმა გადაურბინა.

ამ დროს ეზოში გამოჩნდა საბა ზურგზედ გოდორ მოკიდებული.

— რა დაგემართა აქამდისინ?!—შესძახა ონოფრემ შვილს.—ამდენი ხანია წაეხირე და ერთი გოდორი როგორ ვერ მოგისწრო იმოდენა ხალხმა? ხომ ჰხედავ, დღე თავდება, კი არ თენდება... უნდა გავათავოთ როგორმე თუ არა?!

— დალოცვილო, მოსავალიც კარგი გინდა და მალე გათავებაც...—უპასუხა ხვნეშით ჩარდახში შემოსულმა საბამ.—ფიდო, ფიდო, მოდი ერთი, მიშველე, ამ ვერანამ ზურგი გამიხვრიტა, წნელი ასხლეტილი ჰქონია...

ძმებმა გოდორი ნავში ჩაცალეს.

— ბევრი დარჩა კიდ ვ საკრეფი!?—ჰკითხა ფიდომ საბას.

— ჯერ სად არის!..—უპასუხა ხელის აქნევით საბამ.—დღეს ვერ გავათავებთ...რა გაწუხებთ, ხალხო! ბევრია, ცოტა ხომ არ არის... ღმერთს მოუცია... სამდურავი რა გაქვთ?!.—დაუმატა თანაც საბამ ღიმილით.

— ი გოგოებიც ღმერთს მოუცია—არა?!—გაეხუმრა ერთი მენავეთაგანი საბას.—ჰაი, შე დინგ-ძაღლო, შენა! განგებ აგვიანებ განა!..

— ვაგვიანებ-კი არა, ის არ გინდა!—უპასუხა თითქო უკმაყოფილებით საბამ. თანაც იმის სახეზედ რაღაც იონბაზური მეტყველება აღიბეჭდა, რომელიც, ცოტა არ იყოს, ამტკიცებდა, რომ ნავში მდგომი მართალი უნდა ყოფილიყო.

საბამ დაცლილი გოდორი მხარზედ მოიგდო და ეზოში გავიდა. იმას თან გაჰყვა ფიდო, რომელმაც ტიტველა ტანზედ მხოლოდ პერანგი გადაიცვა და შალვარში ჩაიტანა. ფეხთ-კი აღარ ჩაუცვამს, ისევ დაკარწახებული იყო.

ფიდოს წასვლამ, როგორც სჩანდა, კარგად იმოქმედა ვენახში მყოფთა მუშაობაზედ და კერძოდ-კი საბაზედ. ახლა გოდორი გოდორზედ მოდიოდა, თითქო ძმები ერთმანეთს ეჯიბრებოდენენ, აბა ვინ უფრო მეტს მოზიდავსო.

ამასობაში კიდეც მოსაღამურდა. საამო სიო დაიძრა. ნავში მყოფმა ბიჭებმა საქმე ააჩქარეს.

მართალია, ორცალიანი ქვევრი ჯერ პირთამდე არ ავსილიყო, მაგრამ მაინც ონოფრემ ღარი ფიდოს მიერ გარეცხილ ქვევრისაკენ მიაქცია. ორცალიანს მარტო ჭაჭა-ღა აკლდა დასაყრელად და მერე მზად იქნებოდა.

ფიდომ და საბამ თითოჯერ კიდევ მოიტანეს გოდრები. ნავი თითქმის ხელ-ახლად გაივსო.

— ესეც შენი მოსავალი!—სთქვა საბამ ღიმილით, რა ჩაცალა უკანასკნელი გოდორი ნავში.—ყურძენი გათავდა. ორიოდე გოდორი-ღაა, დედაკაცებს ჩამიჩად და ჯაგნებად გადაურჩევიათ. მამი!—მიუბრუნდა საბა ონოფრეს—დედა ჩაფ ნახევარ ტკბილსა თხოულობს ჩურჩხელებისათვის...

— ბიჭო, მოციქულის ანდაზა ხომ იცი..—უპასუხა ღიმილით ონოფრემ.

საბას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ფიდო ჩაერია ლაპარაკში.

— მამი, შენ შენი ღმერთი, ხვალისათვის ნუ დავაგდებთ ამ ყურძენს დაუწურავსა, დღესვე გავათავოთ...მეც მივეშველები ამათ და... თორემ ხვალე არ მეცლება... სანაყმო ვენახის ღვინო გვაქვს დასარევი.

— მართლა, ფიდო, რამდენი დაგიდგათ ნაბატონარის ვენახისა?—ჰკითხა ერთმა მწურავთაგანმა.

— მაგდენიც არაფერი.

— რატომ? კარგა ბლომბა ადგილია!...

— ბლომა ადგილს კარგი გაკეთება უნდა..—ჩაერია იმათ ლაპარაკში ონოფრე.

— აბა, მე შენ გითხრა, ნათლი, რა ძალიან გაგიჭირდება ერთი ბაღჩა ადგილის მოვლა... მე და ჩემმა ღმერთმა, თქვენითანად შემკული ვენახი ჩვენ სოფელში ერთიც არავისი არ მეგულება... გეგონებათ, შილდელი პატარძალიაო...

— არ გამიჭირდება, მართალია, მაგრამ გული არ მიმიწევს... ვისი რა ოხერი ვაკეთო? რაა ჩემი?.. ხრიოკი ადგილი ვენახად ვაქციე... რაც იქ ჯაგი და წარაფი ამოვაგდე, იმდენი დღეგძელობა შენცა და მეც ღმერთმა ნუ მოგვიშალოს... ჰო, მე და ჩემმ, ღმერთმა!.. თორემ მამა შენსა ჰკითხე.

— აბა, ნათლი, შენ გარჯილობას რაღა თამასუქი უნდა?..

— ჰო, და ახლა-კი ვნანობ... ჩემი ნაოფლარი სხვას მიაქვს... რისთვისაო? რად უნდა დაეუდო წილი? ის-კი არ ეყო, რაც აქამდე წაიღო?!. მე ჩემი ვენახის მოსავალიც მეყოფა...

— ძაან-კი დაგიტანებიათ, ნათლი, ხელი ამ თქვენი ვენახისთვის... ნაწამლიც კარგათ არი... შაბიამანი ჯერ არც კი გადასვლია—გააწყვეტინა ონოფრეს სიტყვა მეორე მენავეთაგანმა და თანაც ფიდოსაგან გაწვდილი ხელადა პირზედ მიიყუდა. ეს ხელადა წამითი-წამ ხელიდან ხელში გადადიოდა და მთელი დღის განმავლობაში გარს მრავალჯერ ჩამოივლიდა ხოლმე.

— კაი ღვინო კარგმა წამლობამ იცის—სთქვა ონოფრემ იმ იერით, თითქო პასუხს-კი არ ეუბნებოდა მოლაპარაკეს, არამედ თავისთვის ამბობდა. მაგ წამლის ვალი ღღესაც კისერზე მაწევს... იაფად არ დამისომს გარსუა... კაი-კაი ჭაშნიკებსაც ჩაისხამს თავის სამ ჩაფიანში...

— არა, ღვთისაგან დალოცვილი თავი იმასა ჰბმია, ვინც ეგ წამალი მოიგონა, აი!—წარმოსთქვა თავის გაქნევით მესამე მწურავთაგანმა.—ნაწამლი ვენახი ისე გაირჩევა უწამლისაგან, როგორც კარგი კაცი ავისაგან. აი, თქვენი ვენახი ხო ჯერ კიდევ ისეა ამწვანებული, თითქო ახლა ყვაოდეს, ყურძენსაც წითლად და ყვითლად ღაჟღაჟი გაუდის... აბა ახლა ჩეკურაანთ ეფრემას ვენახში მიბრძანდით... ფოთელი ისეა ჩაყვითლებული, ჩამჭკნარი, გეგონებათ ფაშაანური კაციაო, ციებ-ცხელება რომ მოუკერს ხოლმე.

— ალბად, ღვთის მადლი კიდევ ტრიალებს ამ ქვეყნად, რომ თითო-ოროლა ამისთანა წმინდა

კაცი არ ილევა, თორემ რა გვეშველებოდა!!— სთქვა ფიდომ იმედით სავსე კილოთი.

— ეგ რა გინდათ? ახლა კიდევ სეტყვის წამალი მოუგონიათ!—დაიძახა საბამ სახეზე ღიმილ ამეტყველებულმა.—ამას წინად, მამი, თელავში ქირაზე რო ვიყავი და უკან მოვდიოდი,—უცბად ერთი ქუხილივით რაღაცამ დაიგრიალა. რა ვქნა? —გავიფიქრე ჩემთვის ე ცა მოწმენდილზე ქუხილს რა უნდა მეთქი? ის იყო ეს ვიფიქრე, თუ არა და, ქუხილმა კიდე არ დაიგრიალა!.. მოჰყვა და მოჰყვა... გავხედე ცას... გავარვარებული მზე ქვეყანას ცეცხლს უკიდებდა... არ დაიჯერებთ, ცოტა არ იყოს, ფერი მეცვალა კიდეც... ვიფიქრე, იქნება სასწაული რამე იყოს მეთქი... ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, პირჯვარი მე ვიწერე... მერე მაქრიანის ხიდზე მითხრეს—ეგა ზარბაზნებიაო... ახლახან უდელის ზვარში დადგესო... ცა რო მოიღრუბლება, ზარბაზანს დაუშენენ და ღრუბელს გაჰფანტავსო...

— მერე და, კაცო, იმ სიშორეთ რომელი ზარბაზანი მიაღწევს?—იკითხა ერთმა მწურავთაგანმა, რომელსაც კილოზედ უნდობლობა ეტყობოდა.

— ეგ ზარბაზნები შენ, გონი მოგლანდებია— გამოეხუმრა ძმას ფიდო.—

— მომლანდებია-კი არა, ჩემი ყურით გავიგონე...

— შენი ყურით ამას წინად ისიც გაიგონე, თითომ ღვდლიანთ მართას საფლავიდან კვნესა მოისმოდაო, მაგრამ ვინ დაგიჯერა?!.

— კაცო! რაღა შენა გქონია ისეთი ყურთა სმენა, რო ცისა და ქვეყნის ლაპარაკი—მარტო შენ გესმიანება?!.

— აბა, თუ მაგითანა გულთმისანი ხარ, გამოიცან მთვარე ვახშმად რას მიირთმევს ხოლმე?—

ყველა ეს მიმართვა ისეთის დამცინავის კილოთი იყო წარმოთქმული, თანაც მთქმელნი ისე უჭუტავდნენ საბას თვალებს და კბილების დაკრეჭით ეკითხებოდნენ, რომ იგი გატრიზავდა, აიმღვრა, მწყობრად დაწყობილი ამბავი ნახულისა და გაგონილისა აერია-დაერია და პასუხად იმის მეტი ვერა მოახერხარა, რომ გააფთრებით დაიძახა: —ემ, რა დროს ეგ არის, ღარში ყურძნის წვენმა იკლო, ფეხი მაგრა დაჰკარით... გვიანდება!..

ი. ელეფთერიძე.

(შემდეგი იქნება.)

სონეტი.

—.—

ჭაეროვანო,
ნორჩად აღზრდილო,
სურნელოვანო,
უცხო ყვავილო;—
ტანჯვა, ვაება შემომსუბუქე!..

*
* *

ურვა-ნაღველო,
ჭანგო მკვნესარევ,
ოცნების ქსელო,
ცრემლო მდუღარევ;—
ცად ამამაღლე... გამომიშუქე!..

*
* *

ჩემო კეთილო,
ქნარო ობოლო,
ჩამოკვეთილო
ვერხვის ფოთოლო;—
შენი ღიმილი, ბედკრულს მაჩუქე!..

ი. გრიშაშვილი.

მინიატიურები.

I.

მოწყენილი ანგელოზი.

უფალმა განდგომილი ანგელოზი სძლია და თავდაყირა გადმოაგდო ციდან. ჩამოვარდნის დროს გაშავდენ და ფრთები შეერუჯათ. თვით სატანა სალი კლდის ძირას დაეცა. დაღლილ-დაქანცული და შეურაცხყოფილი ბოროტი სული, სიძულვილითა და ჯავრით სავსე, ჩაფიქრებული იჯდა და ათასნაირ ხრიკს იგონებდა საშინელ შურის-ძიებისას.

მინდორში ერთი პატარა და თეთრი ანგელოზი გამოჩნდა. ქვეყნიდან ზეცად მიჰქონდა შენანიება ცოდვათა და უმანკოთა სული.

ესეც ერთი უბრყვილო მსხვერპლი ნაბრძანები უმანკოებისა!—დაცინვით ჩაილაპარაკა სატაველმა.

ანგელოზი მიუახლოვდა კლდეს და ფრთა გაჰკრა. კლდე შეიწია, გამოიქვაბა და ადგილი მისცა ანგელოზს მოსასვენებლად. ანგელოზმა ფრთა შეიკეცა, კლდეში გამოჭრილ სარეცელზე წამოწვა და პატარა ნათალი ფეხები ნიავს მისცა გასაგრილებლად.

სატანა დიდხანს უყურებდა ანგელოზს; შუბლზე ნაოჭი გაეხსნა; სახეზე სიამოვნებამ და სათნოებამ

გადაჰკრა; პირისახეზე სიმკაცრე, შური და სიძულვილის კვალი დაეკარგა.

სალს კლდეს მიადგა რაღაცა ძალით წინაძლოლილი.

— მშვენიერო, გხედავ და ვტკბები; გიჭვრეტ და სიახლოვეს ვნატრულობ!

ანგელოზმა პასუხი არ გასცა.

სატაველმა ასწია ხელები, მაგრამ ძლივს მისწვდა ფეხებს; თავს ძალა დაატანა, თითებით ჩაეპოტინა კლდეს, აიწია და სარეცელზე ახტა. ანგელოზი არ შეინძრა და წინანდებურათ ნიდაყვზე წამოწოლილი ოდნავ წყრომის ბურუსით მოცული ჩამოიყურებოდა ქვევით.

— მშვენიერო, ფეხთ მინდა მხოლოდ გეამბორო!—შეევედრა ბოროტი სული.

ანგელოზმა პასუხი არ გასცა.

სატაველმა რამდენჯერმე მძლავრათ დაჰკრა მუშტი კლდეს და საფეხურები დაიმზადა.

როგორც იყო მისწვდა და ფეხებს ტუჩებით შეეხო. იმავ წამს ანგელოზმა წამოიწია, კლდის წვერზე ავიდა და იქ უფსკრულის ნაპირად ისევ ნიდაყვზე წამოწვა. პატარა, ნათელი ფეხები უფსკრულისკენ გადმოეგდო საგრილებლად.

— რათ გამირბიხარ? ცოდვილი ვარ, მაგრამ შენთვის მორჩილი, უწყინარი და ნაზი მსახური ვიქნები. ნუ გამირბიხარ!— სატაველი ახტა და ერთი თვალის დახამხამებაზე ანგელოზის გვერდით გაჩნდა.

— ხომ მოვედი, ღვთის ბძანებაც ვსძლიე — ვერ ახვიდე ზეცათას — შენთვის ყველაფერს ვიქმ, ყველაფერს მოვახერხებ!

ანგელოზს სურდა გაფრენილიყო; სატაველმა მოასწრო და მარცხენა ხელი მარჯვენა ფრთის ძირში წაატანა.

ერთს ხანს ასე დაფრინავდენ ცის კამარაში.

— გამიშვი ხელი!—ოდნავ წყრომით ჩაიფუჩუნა ანგელოზმა— თორემ უფალთან მივდივარ და ველარ გადაურჩები— საშინელებას მოგივლენს სასჯელად.

— ოღონდ შენთან ვიყო, ოღონდ შენთან, ერთის წუთით მაინც, და მერე რაც მოხდეს, მოხდეს! ხმის კანკალით ჩასჩურჩულა ანგელოზს გულში და სატაველმა მარჯვენა ხელი ანგელოზის მარცხენა იღლიის ქვეშ ამოუტარა და ყელზე მოხვია.

— შენ ნამეტანს თავხედობ, ბოროტო სულო! — გაწყრა ანგელოზი და ცის კამარაში შეტრიალდა. — აქ ჩვენს ქვევით ზღვაა, და შიგ გადაგაგდებ.

— ვერ მომიშორებ! ან რათ მიშორებ? რა მოგელის იქ? საქმევლის სუნი, უფლის დიდება და ფრენა, მუდმივი, განუწყვეტელი ფრენა. ვინ დაგიდგამს ჩემსავით ცალკე ტახტს ადამიანთა გულისაგან, ვინ შემოგწირავს სიტკბოებას ჭმუნვისას და სიხარულისას? ვინ გიძღვნის განშორების ღიმილს და შეხვედრის ცრემლებს? მე, მე, მარტო მე! იქ ბებრუცანა ღმერთი ყველაფერს შენგან მოითხოვს, მე კი ყველაფერს შემოგწირავ: შურის-ძიების იმედს, ამპარტავნებას, სიკვდილ-სიცოცხლეს.

— ცოცხალი თუ ვერ მოგიშორებ თავიდან, მაშ, ზღვის ტალღებს მეც შევერევი და იქ ცხედრები მაინც გავითიშებით.

— არა, არა!—სასოწარკვეთილებით წამოიძახა სატანამ - ისევ მე დავიღუპო, ოღონდ შენ იყავ ცოცხალი და ბედნიერი! სატაველმა ხელი გაუშვა ანგელოზს და ტყვიასავით წავიდა ზღვისკენ, ჩავარდა ზღვაში, ერთხელ კიდევ გამოჩნდა და დაიკარგა.

უკანასკნელ წამებშიაც თვალ-წინ ედგა მშვენიერი, სათნო, მშვიდი სახე თეთრის ანგელოზისა და ბედის უმადური ისევ ანგელოზს ლოცავდა. ზღვის სივრცეში სატაველს ხელი სტაცეს სირინოზებმა და გადაარჩინეს: ხვევნით გააშრეს, კოცნით მოარჩინეს; წამლათ გული უძღვნეს; სიმღერით და ცეკვით გაართეს. სატაველი გიჟურის სიმხურვალით აძლევდა პასუხს: კისერზე იხვევდა მათ თმას; ყელი ყელს გადაჰქდობილი, ჩახუტებული იმღეროდა, იკლაკნებოდა მწველის ალის გასაგრილებლად, მაგრამ ისევ და ისევ ანგელოზზე ფიქრობდა, ისევ და ისევ ანგელოზი უდგა თვალ-წინ.

— ის ყოფილა წმინდა, ის ყოფილა წმინდა! - გრძნობს ანგელოზი. ის ყოფილა წმინდა; სიყვარულით, თავ-დადებით სავსე და არა მე—ფიქრობს ანგელოზი.

მე ვარ გულქვავი და მაცდური - ამბობს ანგელოზი და ვერ ბედავს, რომ სატაველს მიუახლოვდეს, ჩაეკრას და ჩაეკონოს.

ამიტომ არის ანგელოზი მუდამ მოწყენილი; ის გლოვობს წმინდა სატაველის დაშორებას, იმის დაკარგვას და ინანიებს თავის ცოდვებს.

სატაველს ძველებურათ გულში უზის ანგელოზი; ახლოს კი ვერ ეკარება, რადგან ეშინია, ჩემმა მიახლოვებამ თავი არ გამოამეტებინოსო და ბოროტებაში ფლანგავს წმინდა სულს, წყვდიადში აქრობს ღვთაებრივ ნაპერწკალს, სხვათა სამაცდუროთ ხარჯავს უზენაესს ნიჭს. დიახ, ბოროტი სული თავგანწირულისა და გულქვავის ანგელოზისთვის ძველი ამბავია და ახალი თქმულება.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

—

ჩვენი ცხოვრება იმდენად დუხჭირი და აუტანელია დღეს, რომ ყოველი გაზეთი თუ ჟურნალი უნებლიედ ათ ამბავში ერთს სასიამოვნოს და გულის გამხარებელს ვერ მოგვაწვდის. მაგრამ ცხოვრებას კაცი ვერ გაექცევა. საჭიროა ყოველი ის, რაც გვაწუხებს, სულს გვიხუთავს და ცხოვრების გზას გვიკრავს, აღვნიშნოთ, გავითვალისწინოთ. მით უმეტეს, რომ არაფერი ისე არ აერთებს ადამიანებს, როგორც ურთიერთი შეგნებას გაჭირვებისა, შეეიწროებისა.

სამწუხარო ფაქტებს იძლევა ჩვენი ცხოვრება ხალხის უპატრონობის შესახებ. „სოფელი ვნახე უძალლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“, სწორედ ეთქმისთ იმ პირთ, რომელთაც თითქოს წესიერების დაცვა აქვთ ჩაბარებული, მაგრამ ხშირად ყოველივე წრეს გადადიან. იყო დრო, როცა სოფელი თვითონ უსწორდებოდა თავის დუხჭირს შვილებს, ზოგს ასწორებდა დარიგებით, სიყვარულით და შეწყნარებით, ზოგსაც აძევებდა თავის წრიდან, ასე თუ ისე შემაწუხებელ და შემავიწროებელ პირებისაგან თავს იცავდა. მაგრამ დღეს ხალხს იარაღი ჩამოართვეს. აშკარაა, თუ შენ უიარაღო ხარ, შენზე კი იარაღით მოდის ვინმე, ულონო იქნები თავი დაიცვა და უნებლიედ შეუსრულებ ყოველივე მოთხოვნას. მაგრამ ეს მარტივი სიცხადე არაა იმათთვინ ჭეშმარიტება, ვინც კარგად უნდა იცოდეს იარაღის ძალა. ხოლო ამ მარტივი აზრის უარყოფა კი იწვევს მთელი სოფლების დარბევას, სადაც დამნაშავე და უდანაშაულო ერთმანეთში არეულია. წარამარა მართალი ხალხის დარბევა კი გარდა იმისა, რომ ქონებრივად აძაბუნებს ხალხს, კანონის და წესიერების შეგნებასაც არამც თუ ხელს არ უწყობს, პირიქით პირველი მისი მომსპობია, რაც არა სასურველი უნდა იყოს იმათთვინ, ვინც ხალხის დაცვას ჩემობს და ვისაც წესიერების დაცვა აბარია.

უბედურ სოფელ ჯურუყვეთს ყავდა ერთი წევრი, რომელიც ვიღაც ყაჩაღებმა მოკლეს. სოფელს შეეძლო ეკვით ვინმე დაესახელებია, მაგრამ მკვლელების შეპყრობა კი მაშინ, როცა ეს მკვლელები თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული დათარეშობენ, ხოლო ხალხი უარაღოა შეუძლებელი საქმეა. ძნელია ხალხს დავსწამოთ ამ პირების დამალვის სურვილი, რადგან ვინც სოფელს არ ინდობს და განსაცდელში აგდებს, ისიც დასანდობი არ არის. მაგრამ ხელად გაჩნდა საერთო სასჯელი, დატანჯვა, რომელიც ჩვენში ჩამომგრებ სენად გადაიქცა. და აი ისედაც შიმშილის პირზე მიმდგარი სოფელი სულ გაღატაკებამდე მიიყვანეს. ნუ თუ ასე ადვილი გასამეტებელია ხალხი და ასე ადვილი უნდა იყოს მისი დამცირება და მიწასთან გასწორება?

მომხდარა ფრიად სამწუხარო ამბავი ხაშურშიაც. ვიღაცას მოუნდომებია მთავრობის მამასახლისის მოკვლა. აქ სრულიად არ ვეხებით ბ. მამასახლისის პიროვნებას. ხოლო ერთი საჭიროა ვიცოდეთ: ვინც მისი მოკვლა განიზრახა, ის ხალხისთვის კაინია, რადგან ხალხს მისი საქციელით საოცარი უბედურება დაატყდა თავს. საზოგადოდ საჭიროა, თუ კიდევ ვინმე მოიპოება, ვინც ამართლებს ასეთ ვაჟბატონების საქციელს, დავგმოთ ისინი. ეს მოთარეშე ვაჟბატონები თვითონ სადმე საფრიდან ერთს თოფს გამოისვრიან და მერე მთელ სოფლებს გააფთრებულ და პასუხის გებას მოკლებულ პირებს აძლევენ ხელში. ეს პირნი არამც თუ უსარგებლონი, მავნენი და ხალხის გამრყვნელნი არიან, მეორე მხრით ეს სრულიად არ ამართლებს ჩაფრების თავგასულობას და მათ მიერ რამდენიმე სოფლის დარბევას. მაინც საოცარია სოფლის ამბავი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ მოკლე ხანში ორმოციოდე სოფელი დაგვეთვალიერებია და ვერსად სოფლის მოხელე ისე ვერ ვნახეთ, რომ ხელში მათრახი არ სჭეროდა. ნუ თუ წესიერების ემბლემად მათრახი გადაიქცა?

* * *

ყველაფერი შეიძლება კაცმა აიტანოს, მაგრამ დაბრიყვება კი მეტად ძნელი ასატანია. და განა შეიძლება ამაზე უფრო დაბრიყვება, როცა ქართლის შუაგულში სოფელ თიღვში სასულიერო მთავრობა მღვდლად არა ქართველს ნიშნავს? საოცარია! ამ მიყრუებულ სოფელში სწერავენ არა მცხოვრებთა, ენაზე, არა იმ ენაზე, რომელზედაც ორი ათასი წლის განმავლობაში ხალხს წერვა ესმოდა, არამედ თვითონ რუსებისათვის ძნელ გასაგებ სლავიანურ ენაზე, ეს ამბავი გაზეთებში სწერია, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენი დაბრიყვება ასე შორს წასულიყოს.

* * *

ჩვენთვის ყველასთვის ცხადია, რომ დღეს საქართველოში მიწის დიდი სივიწროვეა. კავკასიონის ხევ-ხუვებში მცხოვრებნი მწირ ნიადაგის შემცქერალნი ხელოვნურადაც აჩერებენ გამრავლებას. თუ მთელი საფრანგეთი ფეხზე დააყენა ასეთმა მოვლენამ, მარტო ჩვენ უპატრონონი და თავის პატრონობის საშვალებას მოკლებულნი იძუ-

ლებულნი ვართ უგზო-უკვლოდ დავრჩეთ. მთელ იმერეთში ხალხს სივიწროვე სულს უხუთავს. იქამდის მივიდა საქმე, რომ რაჭაში ხრიოკი ქედები, რომელიც შეიძლება დღეს თუ ხვალ მეწყერის მსხვერპლი გახდეს, 700—1000 მანეთად ფასობს ქცევა. ყოველგვარი უფლება გვეუბნება, რომ თუ სადმე საქართველოს ტერიტორიაზე ცოტა თავისუფალი ადგილი დარჩენილა, ის ჩვენს მეტს არავის ეკუთვნის. მაგრამ უფლება დაუცველად ტყუილი ოცნებაა. და აი კიდეც ჩვენი უმამულოდ დარჩენილი გლეხი სასოწარკვეთილებას ეძლევა, ხოლო უკვე დაიძრა ჩვეულებრივი ტალღა ჩვენი მამულების დასაჭერად. მოდიან ბორჩალოს მაზრაში, შირაქში და ყოველგან, სადაც კი ცოტაოდენი მამული დარჩენილა. ჩვენ კი გულზე ხელი უნდა დავიკრიბოთ, მაგრამ როდემდის?

* * *

ყოველ დღე გვესმის, რომ ამა თუ იმ კუთხეში, პატარა დაბებშიაც ან დააარსეს, ან აპირებენ დაარსებას პროგიმნაზიების, გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლებისა. გორში გაიხსნა პროგიმნაზია, სურამმა და ხაშურმა დააარსეს კერძო პროგიმნაზიები, თელავი და სიღნაღი დიდ ცდაში არიან, რომ პროგიმნაზიებს ეღირსონ, მთელ გურიაში ფულს აგროვებენ, რომ რეალ. სასწავლებელი დააარსონ. პირველი შეხედვით ასეთი ფაცა-ფუცი და გატაცება თითქო საზოგადო ვითარებითაა გამოწვეული. მაგრამ თუ კაცი ღრმად ჩაუკვირდება საქმეს, მისთვის ცხადი იქნება, რომ ასეთი გატაცება გამოწვეულია ჩვენი მოუმზადებლობით. ყოველი საზოგადოებრივი საქმე მოითხოვს გარემოებათა გათვალისწინებას, შესწავლას და პირობათა მიხედვით მოქმედებას. ჩვენდა სამწუხაროდ, ვინც დღეს ჩვენ საზოგადო საქმეებს სათავეში უდგანან, ისინი ნაკლებ უკვირდებიან ჩვენ ცხოვრებას და უფრო სახელის მოსახვეჭად ცდილობენ ნაკლებ დაბრკოლების გზით იარონ, მაშინ როდესაც ჩვენი ცხოვრება სულ სხვას მოითხოვს. მრავალგვარ საზოგადოებრივ ცვლილებასთან ერთად ჩვენში დაიწყო დიდი ეკონომიური ცვლილება, რომელიც იმით გამოიხატება, რომ რაც ძველად კარჩაკეტილ ცხოვრების დროს მეურნეობის უმთავრეს დარგად ითვლებოდა, ის დღეს ადგილს უთმობს სხვა დარგებს, რომელნიც უფრო შეეფერებიან ჩვენს ბუნებას და მეტ სარგებლობას უქადიან ხალხს. კახეთი თან-და-თან აფართოვებს მეღვინეობის მოედანს, ქართლში თან და თან ვრცელდება ხილის მოშენება, იმერეთში მევენახეობა და მეაბრეშუმეობა, აჭარასა და გურიაში სიმინდს ისე გულს აღარ უდებენ, მოჰყავთ თამბაქო, აბრეშუმი, შეუდგნენ ჩაის და დაფნის პლანტაციების გაშენებას. ერთი სიტყვით ხალხი დაადგა უნებლიედ, ბრმად იმ გზას, რომელიც მის ეკონომიურ გაძლიერებისათვის ერთად ერთი გზაა — ეს გზაა უმაღლესი კულტურის შემოღება. მაგრამ ასეთი კულტურის შემოღება საზოგადოდ ძველის უარყოფა და ახალ გზაზე დადგომა, უმდაბლესი საფეხურიდან კულტურის უმაღლეს საფეხურზე ფეხის მონაცვლება მოითხოვს ცოდნას, განვითარებას; ხოლო სად ვიპოვოთ ეს ცოდნა? სად არიან ის მომზადებული მეურნენი, რომელნიც ხალხს გზას უნდა უკვალავდენ? სად არიან ის აღებ-მიცემობის ცოდნით აღჭურვილი პირნი, რომელნიც ხალხს ჩარჩების თავგასულობისაგან უნდა იხსნიდენ და ბაზრისაკენ გზას უჩვენებდენ? გასაკვირვია: მეურნეობის ქვეყანა მეურნეობის შესწავლას გაურბის. ამ უკულმართმა მოქმედებამ, რომელიც სრულიად არ შეეფერება ჩვენს ცხოვრების პირობებს, დღემდის დიდი ვნება მოგვიტანა და თუ არ უარვყავით დროზე, კიდევ ბევრს დაგვაბრკოლებს. ჩვენში სასწავლებელი არსდება მხოლოდ როგორც მომავალ მოხელეების ქარხანა. ამნაირად ინტელიგენცია და მოხელე ჩვენში სინონიმია. მოხელეობა, რომელიც ევროპის ქვეყნებში ერის ჩვეულებრივ და უმდაბლეს დარგად ითვლება, ჩვენში ფრიად საპატიო საქმედ გადაიქცა, ასე რომ უბრალო კოლეგიის რეგისტრატორი, რომელიც უშინაარსო ქაღალდს ძლივს ჯდაბნის, მაგრამ რომლის შუბლი შემკულია კაკარდით, გვერდზე გადახედავს ვაჭარს ან მეურნეს, შემომხედე, რა ბიჭი ვარო. მეურნეობამ, რაც ხალხს კვებავს, პატივის-ცემა დაჰკარგა, ამით თავისუფალ პროფესიას გზა შეეკრა და მოსამსახურეთა ფსიხოლოგია, ფსიხოლოგია მორჩილებისა და მცონარეობისა ინტელიგენციის ფსიხოლოგიად გადაიქცა. სოფელი უხალხოდ დარჩა, ვაჭრობას ცოდნა არ აცხოველებს. ამისი საუკეთესო მაგალითი. დღეს რუსეთში აარსებენ ასეთ ტიპის სამეურნეო სასწავლებლებს. კარგად დაყენებულ მეურნეობის პატრონს მთავრობა აძლევს საკმაო სუბსიდიას და ამ მზა-მზარეულ მამულში აარსებს სამეურნეო სასწავლებელს. ჩვენშიაც მოინდომეს ასეთი სასწავლებლის დაარსება, მაგრამ წარმოიდგინეთ არსად ამოჩნდა ისეთი კერძო მესაკუთრის მეურნეობა, სადაც ასეთი სკოლის გახსნა შესაძლებელი ყოფილიყო. აი სადამდინ მიგვიყვანა მოხელეობის ქარხნებით გატაცებამ! ახლა მაინც დროა ცოტა გონს მოვიდეთ, დაუფიქრდეთ მომავალს და ათი პროგიმნაზიის მაგიერ ერთი კარგი სამეურნეო ან კომერციული სასწავლებელი დავაარსოთ. ყველაფერს

საზღვარი აქვს, მარტო კაკარდოსნებით ხომ არ ვიცხოვრებთ? საჭიროა ისეთ ცოდნას მოვკიდოთ ხელი, რომელიც ქმნის და არა მხოლოდ ნთქავს. საჭიროა ჩვენი მოღვაწენი ჩაუფიქრდენ საქმეს და ჩვენი ცხოვრების პირობების მიხედვით იმოქმედონ.

* * *

არ გვეყო, რომ ქართველობა სარწმუნოებრივმა სხვა-და-სხვაობამ დააქუცმაცა. ახლა მაჰმადიან ქართველებს ეუბნებიან, თქვენ ქართველები არა ხართო, ქართული წერა-კითხვა არ უნდა ისწავლოთო, გაგონილა ასეთი ძალ-დატანება? ქობულეთელი ან აჭარელი ქართველი არაა? მაშ ვინაა, ბრძანეთ? სწორედ რომ აუტანელია ასეთი მოპყრობა. საჭიროა თვით შეგნებულმა მაჰმადიანმა ქართველებმაც ხმა ამოიღონ და ამ ბარბაროსულ მოქმედებას გზა შეუკრან.

* * *

ამდენ უსიამოვნო ამბავს გვსუბს ერთი პატარა ამბავი მაინც დაურთოთ, სადაც ჩვენი კულტურული არსებობის გამოჭღავნება სჩანს. ბაქოელი ქართველობა კარგა ხანია თვალსაჩინოდ მუშაობს ჩვენ კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ დაარსდა წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილება, იმედია, ეს მუშაობა უფრო სისტემატიური და კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება. ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ. უკვე დააარსეს პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც მეტად საჭირო იყო გადახვეწილ ქართველობისათვის. ვუსურვოთ წარმატება და განვითარების გზაზე მსვლელობა.

ქართულ სამართლის ისტორია.

პირველი ნაწილი (VIII—XII) ს.

თავი I.

ქართულ სამართლის წყაროები.

ქართულ სამართლის უძველეს ძეგლად ჩვეულებრივ მეფე გიორგი V-ეს „ძეგლის დადება“ ითვლება; რასაკვირველია თვით განსვენებულმა დ. ბაქრაძემ კარგად იცოდა და გრძნობდა, რომ საქართველოში ამ სასამართლო წიგნის წინადაც უნდა ყოფილიყო სამართლის ძეგლები (იხ. Сборникъ законовъ груз. царя Вахтанга VI, ა. ფრენკელის გამოცემა, დ. ბაქრაძის რედაქტორობით, გვ. 81, 112, შენ.), მაგრამ ამ გვარი ძეგლები მას დაკარგულად მიაჩნდა. გასაოცარი ის არის, რომ ვერც ათაბაგ ბექა და აღბულას სამართლის წიგნს, რომლის მე-99-ე მუხლში სწორედ იმ უძველეს, გიორგი ბრწყინვალეს წინადროინდელ კანონების დასაწყისისია შენახული, მიუხვედრებია განსვენებული ისტორიკოსი და თავის შენიშვნაში იგი ამბობს, ამ მუხლის აზრი ისაა, რომ სასამართლო წიგნები ძველ მეფეების დროსაც უწერიათო, მათის ბრძანებითა და სამღვდელოებისა და საერო პირთა თანამშრომელობით, და თვით აღბულასაც ხელთა ჰქონია ამ გვარი ძველი კანონებიო (idib. გვ. 117, შენ.); არც განსვენებულს ნიჭიერ მკვლევარს ნ. ურბნელს მიუქცევია მე-99-ე მუხლისათვის ჯეროვანი ყურადღება, და ალბად იმიტომ, რომ იგი ათაბაგ აღბულას დადგენილ სასამართლო წიგნის ნაწილად მიაჩნდა (იხ. ნ. ურბნელის „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“, გვ. 267-8.). ქვემოდ ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ საქართველოში კანონები არამც თუ გიორგი ბრწყინვალეზე წინადაც არსებობდა, არამედ რომ ამ კანონების ერთმა ნაწყვეტმა ჩვენ დრომდის მოაღწია კიდეც. თვით გიორგი V-ე თავის „ძეგლის დადებაში“ პირდაპირ ამბობს, რომ იმის წინადაც საქართველოში არა ერთი და ორი სასამართლო წიგნი ყოფილა და თვით მასაც ხელთა ჰქონია, როცა მთიულებს კანონებს უწერდა; ვალის თამბაზე მაგალითად იგი სწერს: „ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ: სარგებელი არც **ქართველთ რჯულთა** სძესთ წესად რომე აიღონ, არც სხვათა რჯულთა უწერიათო (§ მე); შემდეგ ათაბაგ ბექა და აღბულას სამართლის წიგნში ნათქვამია: „აწყვერისა და საფარისა, ვითა **ძველიდგან ყოფილიყო**, არცა **დიდსა მეფესა მოეშალა** და ჩვენ გაღანამცა, აგრევე დავამტკიცეთო (იხ. ჩუბინაშვილის ქართ. ქრისტომატია, 1863 წ. გამოც. გვ. მე-208—9); აქ დიდ მეფედ, რასაკვირველია, გიორგი მე-V-ე ბრწყინვალეა წოდებული და აწყვერ—საფარის განსაკუთრებულ სამართლის უფლება მა"ასადამე იმაზე წინად „ძველიდგანვე“ ყოფილა დაწესებული; თუ კი ამ ეპისკოპოზებისათვის განსაკუთრებული სასამართლო წიგნები უბოძებიათ, განა დასაჯერებელია, რომ მთელი სამეფო, დანარჩენი მცხოვრებნი და უმრავლესობა უკანონებოდ ყოფილიყო?

მაგრამ რომ გიორგი ბრწყინვალეზე წინად საქართველოში საკუთარი სასამართლო წიგნი არსებობდა, ამას თითქმის დამტკიცებაც არა სჭირია, იმიტომ რომ თვით ამ კანონების ნაწყვეტს, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ჩვენ დრომდისაც მოუღწევია: იგი შეტანილია ბექა და აღბულას სა-

სამართლო წიგნში; მე 99-ე მუხლი შეიცავს სწორედ ამ გიორგი მე V-ეზე წინადროინდელ კანონების დასაწყისს:

„სახელითა ღუთისათა დაიწყების საღმთო გაჩენელი*) პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატ და აღმაშენებელისა მეფეთ მეფისა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღუთისათა: „ვინცა სიბჭოდ სჯდებოდეთ და მართალსა საჩივარსა მართლად მოიხსენებდეთ თქუენთა გულთა შიგან ღუთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთ,— არა მამასა და დედასა, არა ძმათა და მეყვისთა არას ქრთამის ქადებისათვის არადარა, მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ“-ო.

ვინც ამ მე 99-ე მუხლს წინამავალ მუხლების შემდეგ გულდასმით წაიკითხავს, რასაკვირველია შეატყობს, რომ აქ რაღაც სხვა კანონის ნაწყვეტი იწყობა, რომელსაც §§ 96, 97 და 98 თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს: მე 96-ე მუხლში იმ სასჯელზეა ლაპარაკი, რომელიც უნდა გადაახდევინონ „თუ ვაჭარი მოჰკლას ვაჭარმან თუ სხვამან ვინგინდამ“, ხოლო § 97 გზას მიმავალ ვაჭრის გაცარცვას შეეხება, მე-98-ე მუხლში-კი ახსნილია, თუ როგორ უნდა გაასამართლონ, როცა დარბაზის კაცს „კაცი“ წაუვა; ამას ზედ მოსდევს მე-99-ე მუხლი, რომელიც სრულებით მიუღოდნელად ისეა დაწერილი, როგორც იწყობენ ხოლმე თავიდან რომელსამე განაჩენს—„სახელითა ღვთისათა დაიწყების“ და სხვა; შემდეგ თვით ამ მუხლში ნათქვამია, რომ იგი ბაგრატ კურაპალატის „ბრძანებითა“ და „ეპისკოპოზთა, დიდებულთა აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“ა; მაშასადამე არც ათაბაგს ბექას, არც აღბუღას ამ სამართლის წიგნთან არაფერი ჰქონია საერთო; ერთმაცა და მეორემაც თავიანთი კანონები თავიანთ სახელით გამოსცეს და საქართველოს მეფე არ მოუხსენებიათ; მე 99-ე მუხლში-კი არც ბექა, არც აღბუღა კანონმდებელად მოხსენებულნი არ არიან; ერთი სიტყვით, § 99 სხვა სასამართლო წიგნიდან არის ამოღებული და იმ წიგნის შესავალს თავს წარმოადგენს. ეს სასამართლოს წიგნი ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით შეკრებილ უმაღლეს სამღვდელოების, დიდებულ აზნაურებისა და ჭკვიან კაცების „მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“ა. ხოლო რაკი თვით ამ ნაწყვეტში თარიღი ნაჩვენები არ არის, ამ სამართლის ძეგლის შედგენის დრო უნდა დაახლოვებით გამოვარკვიოთ; მე-XV-ე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ათაბაგი აღბუღა ცხოვრობდა საქართველოში, მეფედ ბაგრატი არა მჯდარა; მეXII-ე საუკუნეში-კი 1360—95 წლებს შორის მეფედ იყო ბაგრატ მე-V-ე დიდი; მაგრამ მას კურაპალატობის პატივი არა ჰქონია. სასამართლოს წიგნის გამომცემელი უეჭველია სხვა ბაგრატი უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებელის შემდგომ კურაპალატობასა და სხვა ბიზანტიურ სახელმწიფო საპატიო სახელებს აღარა კადრულობდნენ; ამის გამო ცხადია, რომ ზემო აღნიშნულ სასამართლო წიგნის კაკონმდებელს, დავით აღმაშენებელზე წინად უნდა ემეფნა; ამასთანავე მე-XI საუკუნიდან მოყოლებული მე-XV-ე საუკუნემდე ბაგრატ V დიდის გარდა არც ერთს საქართველოს მეფეს სახელად ბაგრატი არა რქმევია. მე-XI-ე საუკუნემდე სამი მეფე იყო ბაგრატის სახელით: ერთი ბაგრატ II, მეორე სახელად რეგვენად წოდებული (958—994), შემდეგ ბაგრატ მე-III-ე (980—1014) და ბაგრატ მე-IV-ე (1027—72); სამართლის წიგნის შედგენის მოთავედ შეუძლებელია ბაგრატ მე-II-ე ყოფილიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი კურაპალატი არა ყოფილა, მეორე იმიტომ, რომ რეგვენს ცოტა არ იყოს არც კანონმდებლობა შეჰფერის; რჩება მაშასადამე ბაგრატ მე-III-ე და ბაგრატ მე-IV-ე; ორივეს კურაპალატობის პატივი ჰქონდათ, პირველს ეს პატივი თვითვე ბიზანტიის კეისარმა ბასილიმ მისცა (სუმბ. ქრ. 3 ქ. 65), ხოლო მეორემ ითხოვა თავის დედის პირით და მიიღო კიდეც კურაპალატობა (მარ. დედ. ქრ. ცხ. 256 და ქრ. ცხ. 421); მაშასადამე ზემოაღნიშნული კანონები იმ სამ ბაგრატების შორის ან ბაგრატ მე-III-ეს, ან არა და ბაგრატ მე-IV-ეს უნდა გამოეცა. ბაგრატ I კურაპალატზე ჩვენ აქ განგებ არას ვამბობთ და ჯერ იმის გამორკვევა გვსურს, თუ რომელს ბაგრატს,—მე-III-ეს, თუ მე-IV-ეს,—მეტი უფლება აქვს კანონმდებელად აღვიაროთ, ხოლო ამის შემდგომ ბაგრატ I-ის კანონმდებლობასაც შევეხებით.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ბაგრატ მე-IV-ის დროს „ქუეყანასა **დაწყნარება არა აქვნდა. ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაური ვერ იკითხვებოდეს**“ ო (მ-მ დ-ფს ქ-ცა 278) და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდანა სჩანს, რომ ეს მემატიანეს ცნობა სრულიად სამართლიანი ყოფილა: ცხოვრების ავტორი, რომელიც მთაწმინდელ მამის მოწაფე იყო, მოგვითხრობს, რომ გიორგიმ, საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, „პირველად ყოვლისა აღლესა მახვლი მხილებისა“ ბაგრატ მეფის წინა-

*) დედანი აქა-იქ გაფუჭებულია და ჩვენ ვასწორებთ.

ალმდეგ და სხვათა შორის ეტყოდა **მსჯავრთათჳს** და **სამართალთა სამეუფოთა**, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურივთა... და **რათა არა მისდევდეს სასწორსა სიმართლისასა**, დიდისა გინა მცირისა"ო (ც. გ. მთ. წმ. დ. 321); ერთი სიტყვით საისტორიო წყაროები ერთხმივ მოწმობენ, რომ ბაგრატ მე-IV-ის დროს სამართალი განსაკუთრებით დაცემული და შელახული ყოფილა და არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სასამართლოს წიგნის შედგენით თავი შეეწუხებინა; ბაგრატ მე-III-ის შესახებ-კი მატიანეში პირიქით ნათქვამია, რომ „არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისა დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა, ეკლესიათა **მაშენებელი იყო**, გლახაკთა მოწყალე და **სამართლისა მართლად მომქმედი** ყოველთა კაცთა თჳს"ო (მ. მ. დ. ფს. ქ. ცა. 246); რაკი ისტორიკოსი ბაგრატ მე-III-ის მართლმსაჯულობას განსაკუთრებით აქებს, უეჭველია ამ მეფეს სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უზრუნვია და გაუკეთებია კიდეც; სწორედ ასეთს ხელმწიფეს შეეძლო შეეკრიბა სამღვდელოება, დიდებულნი, აზნაურნი და „ჭკვიანი კაცნი" სამართლის წიგნის შესადგენად; ყურადღების ღირსია, რომ როგორც ზემოაღნიშნულ სასამართლო წიგნის შესავალში მეფე ბაგრატ კურაპალატი „ალმაშენებლად"-აც არის წოდებული, ისე მემატიანეც მას „მაშენებელს" უწოდებს.

მაგრამ ამ ორი ბაგრატის გარდა იყო კიდევ ერთი ბაგრატი პირველი, აშოტ კურაპალატის ძე. მასაც კურაპალატის პატივი ჰქონდა; როცა აშოტი 826 წელს არაბებმა მოკლეს, ბაგრატი და მისი ორი ძმა „უსრულო-ნი იყვნესასაკითა" და „იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა" (სუმბ. ქრ. სამი ისტ. ხრ. 55); შემდეგ, ალბად როცა წამოიზარდნენ, ბაგრატმა „ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მიიღო კურაპალატობაჲ" (ც. ჲ. გგ. ლ. ხნ. ძჲ. გვ. კ. და ვ ქნ. კა 55). სწორედ ეს ბაგრატიც თავის კანონმდებლობითი მოღვაწეობით განთქმული იყო: მისი „განწესებულ არს" „გლახაკთა ნაწილი" (გრიგოლ ხანძ. ც. ა, ლბ.) სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა (იხ. ამის შესახებ ჩემი „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში", „ივერიაში"). მისივე საქებურ ღვაწლად ითვლებოდა „**ყოვლისა ერისა** სიმართლით განკითხვაჲ, (ც. ჲ. გგ. ლ. ხნ. ძჲ. გვ. ლბ); იქნებ რაკი ნათქვამია „ყოვლისა ერისაო", სწორედ სასამართლო წიგნის შედგენა ჰქონდეს ცხოვრების ავტორს ნაგულისხმები. იგი განთქმული იყო ვითარცა „წმიდათა ეკლესიათა **მაშენებელი**" (ibid. ლგ.), აქაც მაშასადამე ბაგრატი „აღმაშენებელად" გამოდის; მხოლოდ ერთი დაბრკოლება არსებობს: სამართლის წიგნის შესავალში ბაგრატი მეფედ არის წოდებული, ხოლო ბაგრატ I კი მაშინ ცხოვრობდა, როცა მეფობის უფლება საქართველოში ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო; მაგრამ ეს დაბრკოლებაც გაჰქრება, თუ იმ დროინდელ საისტორიო თხზულებას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" მივუბრუნდით: იქიდანა სჩანს, რომ თვით ბაგრატ კურაპალატიც თავის თავს მეფეს უწოდებდა და მისი თანამედროვენიც მას მეფეს ეძახდენ (იხ. გრიგ. ხანძ. ცხოვრება გვ. კ. სტრიქონები 12, 23, 30; გვ. ლბ. სტრიქონები 42, 61); მაშასადამე კანონმდებელი მეფე ბაგრატ კურაპალატი შეიძლება „მეფე" ბაგრატ I კურაპალატიც ყოფილიყო; საზოგადოდ საბუთების მიხედვით ბაგრატ მე-III-ესა და ბაგრატ I-ს თანასწორი უფლება აქვთ; მაგრამ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, თვით კანონების საზოგადო ხასიათი და ელფერი უფრო ბაგრატ I-ის ხანას შეესაბამება და შეჰშვენის, ვიდრე ბაგრატ მე-III-ის ხანას; ასე რომ, ვგონებ, სიმართლეზე უფრო ახლო იქნება, რომ კანონმდებლად ბაგრატ I-ი აღვიაროთ; თუ ეს შემდეგში სხვა საბუთებითაც დამტკიცდა, მაშინ დაახლოვებით თვით ამ სასამართლო წიგნის თარილის გამორკვევაც შეიძლება; მისი მამა აშოტი 826 წ. მოკლეს, ვთქვათ ბაგრატ I-ი ათი წლის შემდგომ გამხდარიყოს სრულ-წლოვანად და კურაპალატობა მიეღოს,*) მაშინ სამართლის წიგნი 836—876**) წლებს შორის უნდა იყოს შედგენილი.***)

---

*) სამწუხაროდ არც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, არც სუმბატის ქრონიკაში ნაჩვენები არ არის, თუ როდის მიიღო კურაპალატობა.

**) ამ წელს გარდაიცვალა ბაგრატი (იხ. სუმბ. ქრ. სამი ისტ. ხრ. 876).

ი. ჯავახიშვილი.

(შემდეგი იქნება)

***) **ქართულ სამართლის ისტორიაში ნახმარ ქარაგმიან სიტყვების ახსნა:**

მ. მ. დ. ფს. ქ. ცა—მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოცემა.

ქ. ცა—ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

ვ ქნ. კა—სამი ისტ. ხრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოც.

ქნ. კა—ქრონიკები, თ. ჟორდანიასი.

ც. ჲ. გგ. ლ. ხნ. ძ. ჲ—ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარრის გამოცემა.

ცჲ ი. ე და ეფ. სი—ცხოვრება იოანე და ეფთჳმესი, საეკ. მუზ. გამოცემა.

ცჲ გ. ი მთაწ. დჲ—გიორგი მთაწმინდელისაჲ.

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე.